ხუთშაბათი, 1917 წ. 3 მარიამობისთვე (16) წელიწადი მესამე ფასი 10 კაპ.

# საქართველო

**მისამართი:** თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ Сакартвело.
ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

**რ ე დ ა ქ ც ი ა**

**ხელნაწერი მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.**

**რედაქცია ღია არის** დილის 9—3 საათამდის და საღამოს 7—8-მდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

**კ ო ნ ტ ო რ ა**

**გაზეთის ფასი** პირველ მარიამობიდან წლის დამლევამდე 10 მან. 8 თვით — 5 მან., ერთი თვით (მხოლოთ ტფილისში) 1 მ. 50 კ. ცალკე № 10 კაპ. **განცხადების ფასი** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 30 კაპ. უკანასკნელზე—20 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. **სამგლოვიარო განცხადება** თითოჯერ 6 მანეთიდან—10 მანეთამდე—ზომით. **მისამართის გამოცვლა** ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1 მ. **ფული და წერილები,** რომელიც კონტორას შეეხება უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. **კონტორა ღიაა** დილით 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 7 საათიდან 8 საათამდე.

№ 168 ეროვნულ-დემოკრატიული გაზეთი № ~~168~~ 169

# გაზეთის შინაარსი

## საგულისხმო ცნობები

ამ თვის ცამეტისათვის მთავრობა იწვევს მოსკოვში სახელმწიფო თათბირს.

ინგლისის სოციალისტი მინისტრი გენდერსონი გადადგა.

სამხედრო და პარტიულ ორგანიზაციებმა მოწოდებით მიმართეს მეთორმეტე ლაშქარს—იხსენით პეტროგრადიო.

აღმასრულებელი კომიტეტი იწვევს მოსკოვისა და პეტროგრადის დემოკრატიულ ორგანიზაციების წარმომადგენლებს რუსეთის დაცვისათვის საზრუნავად.

ისპანიაში საალყო წესები შემოიღეს.

პეტროგრადის უნივერსიტეტი ოქტომბრამდის არ გაიხსნება.

ფინლიანდიაში საყოველთაო გაფიცვა დაიწყო სასურსათო კრიზისის გამო.

## წ ე რ ი ლ ე ბ ი

**მეთაური.** კათალიკოსის არჩევნების გამო.
**ბ. ჯაიანი.** ეროვნული დემოკრატია
**ქართული პრესა.** სინოდის ახალი „პროკურორი“.
**ია ეკალაძე.** თბილისისკენ და თბილისში.
**მ. ჯანაშვილი.** სასულიერო ყანა.
**ეკ. გაბაშვილისა.** სოფელი ახალქალაქი.

კახეთის მევენახეთა კრების დადგენილება.

დამფუძნებელ კრების დეპუტატების რიცხვი.

ჩრდილო კავკასიისა და დაღესტნის მთიულთა კავშირის დეკლარაცია იარაღის აყრის შესახებ.

გამოუთქმელ მწუხარებაში ჩაფლული: მერაბ გიორგის ძე კილასონია, ნიკოლოზ და ანტონ კილასონიები, ელისაბედ მერაბის ასული ჩოგოვაძისა, ზინა არჩილის ასული კილასონიასი და შალვა იაკობის ძე ჩოგოვაძე აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, 11 ამ თვეს ქალაქ კიევში უდროოთ გადაცვალებას პირველი უსაყვარლესი შვილისას, მეორენი და მესამე ძმისას, მეოთხე მაზლისას და მეხუთე ცოლისძმის, სამხედრო ექიმის

### ანდრო მერაბის ძე
### კილასონიას

რომლის უკანასკნელი გამოთხოვება და დაკრძალვა მოხდება ქალაქ ქუთაისში, შაბათს, 5 აგვისტოს, საღამოს 5 საათზე, საფიჩხიის სასაფლაოზე. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე, გენერლის ქუჩის შესახვევი საკუთარი სახლი.

4—721—2

### საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პირველი უბნის კომიტეტი

გადავიდა ახალ ბინაზე, ფრეილინის ქუჩა № 12, ქართულ სათავად-აზნაურო ბანკის პირდაპირ. ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდინ და საღამოს 7—9 საათამდინ, ვსთხოვთ წევრებს და თანამგრძნობელთ ამ დროს გამგეობაში მობრძანდნენ ხოლმე ცნობების მისაღებად. წევრებათ ჩასაწერად და ყოველ თვიური გადასახადის და შეწირულობის შემოსატანად. ყოველგვარი ცნობების მიღება და წევრად ჩაწერა შეიძლება აგრეთვე „საქართველოს“ რედაქციაში ბ-ნ. ევგენი იაკობის ძე გეგეჭკორთან.

### საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მე-6—7 უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წევრთა მიღება და ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 11—3 და საღამოს 5—7-დე ტუჩკოვის ქუჩა № 5, სახლი კლიძიაშვილისა.

### საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მე-8 და მე-9 უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოთ, რომ პარტიის წევრათ ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე შესამე მომრიგებულ მოსამართლის ბინაზე (ტურგენევის ქუჩა, სახლი № 4) კომიტეტის მდივან ვ. უიფიანთან.

751

მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ქუთაისის გაზეთზე

1917 წელ. **ჩვენი ქვეყანა** 1917 წელ.

გაზეთის ფასი: წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 1 მან. და 50 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათაც გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5, სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მანეთი და დანარჩენიც სეკტემბრის დამლევამდი.

რედაქციის მისამართია: ქუთაისი, თბილისის ქ. სოფ. მიქელაძის სახ., კანტორა ღიაა: დილით 9—2 საათ. და საღამ. 5—8-მდი.

რედაქტორი დ. კვირკველია.

### ქუთაისის რეალური სასწავლებელი

ამით აცხადებს, რომ მასში

### თავისუფალია შტატის ადგილები მასწავლებელთა

რუსული ენისა (ორი ადგილი) და ფრანგულისა (ერთი ადგილი)

სკოლის ნაციონალიზაციისა გამო ზემო, აღნიშნული საგნების მასწავლებლებმა უნდა იცოდნენ ქართული ენა.

დირექტორის თანამდ. დროებით აღმასრულებელი **ივ. გაჩეჩილაძე.**

საქმის მწარმოებლის მაგიერ **გასილ იოსელიანი.**

1—721—1

ქ უ თ ა ი ს ი

### თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიისაგან

**დაიბეჭდა და გასასყიდათ გამოვიდა:**

1) **ს. რ. გორგაძე.** კავშირულ საქტყვიერე შითი ქრესტომატია ჩვენი ახალი მწერლობა. . . . . . . 3 მ. 10 შ.
2) **ია. ეკალაძე.** მოთხრობები მოსწავლეთათვის, წიგნი პირველი. — „ 50 „
3) **ტ. მამალაძე.** სამშობლო სურათები, ფრინველებზე უთოფოდ ნადირობა. . . . . . . . — 5 „

**იბეჭდება და მალე გასასყიდათ გამოვა:**

1) **ვ. უიფიანი.** დაწყებითი ალგებრა (მესამე და მეოთხე კლასის კურსი).
2) **პროფ. ივ. ჯავახიშვილი.** ქართული სამართლის ისტორია.
3) **ს. რ. გორგაძის რედაქტორობით.** წამებაჲ წმიდისა შუშანიკისა.
4) **იპ. ვართაგავა.** შიო მღვიმელი და ბავშვთა სამყარო.
5) **მიხ. წაალიშვილი.** არა ორგანიული ბუნება (ბუნების მეტყველების პირველი კლასის კურსი).

**მალე დაიწყება ბეჭდვა:**

1) **ალ. ჭიჭინაძე.** პირველდაწყებითი ცოდნა გეოგრაფიისა (პირვ. კლ. კურსი).
2) **ს. გორგაძე.** ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია, მეორე გამოცემა შესწორებით და დამატებით. მეხუთე საუკუნის მწერლობიდან.
3) **ი. გომელაური.** მოწაფის ჰიგიენა. მესამე გამოცემა.
4) **ტ. მამალაძე.** სამშობლო სურათები. დათვსა და არჩვზე ნადირობა ქვაბის ფსკერაში.
5) **მიხეე.** გარეულ ცხოველებზე ნადირობა. (10—718—4)

### სად. სუმბათოვოს მახლობლად ს. საჯანის-ხევაში

გამართულია

### სამკურნალო აბანო

არჩენს ყოველ გვარ ქარებს, სხეულის სისუსტეს, მუწუკებს და ძვალ-ტეხასა. წყალი ცივიცაა და ცხელიც, არის სადგომი ბინა, მიმოსვლა შეიძლება ურმით სად. სუმბათოვოდან, დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სად. სუმბათოვოში, ტელეგრაფისტ კ. გაჩეჩილაძისაგან.

**აბანოს გამგე მიხეილ ბარბაქაძე.**

4—725—4

[illegible]
[illegible]
### ქალანდარიშვილი
[illegible]
**მანგლისში**
საკადეტო კორპუსის ბანაკში

ე ქ ი მ ი
### ბ. მ. მ უ ხ ა ძ ე
იღებს [illegible] ავადმყოფთ საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა. მისამართი: [illegible] ქუჩა № 67; [illegible] ტელეფონი № 5—77.

ექიმი ქალი
### ე. ივ. ბაღარჯაშვილი-მათეშვილისა
იღებს ავადმყოფებს:
დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ.
[illegible] ქუჩის კუთხე № 20.

ე ქ ი მ ი
### გ. დ. წინამძღვრიშვილი
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა [illegible]. [illegible] პროს. № 36, მეორე სართული.

ე ქ ი მ ი
### ბ. ი. მაჩნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს ყოველ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, [illegible] ქ. № 4. (ი.—202—)

ე ქ ი მ ი
### ე. ლ. შალამბერიძე
იღებს სამეანო და საშვილოსნოს ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე.
**მისამართი:** პეტროგრადის ქუჩა № 7.

ე ქ ი მ ი
### გ. ფ. მგალობლიშვილი
ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
**მისამართი:** ოლღას ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—52.

ე ქ ი მ ი
### ა. დ. კეკელია
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულს და ათაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116.
(თ—703—4)

ე ქ ი მ ი
### გ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის [illegible] კლინიკის [illegible] ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებათა ყოველ დღე 3—5 საათამდე [illegible] პირდაპირ, [illegible] ქუჩა, № 19.

### საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის X და XII უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა შეიძლება ყოველ-დღე საღამოს 6—11 საათამდე ახალ საკრებულოს (ხარფუხის კლუბი) ბინაზე კომიტეტის დროებით თავმჯდომარე დ. ლომშაძესთან და კლუბის ბუღალტერ კალატოზიშვილთან.

### ხელისმომწერთა და აგენტებთა საყურადღებოთ

გაზეთ „საქართველოს“ კონტორა ამით აცხადებს, რომ ხელისმომწერნი, რომელთაც ხვედრი ფული არ შემოუტანიათ და აგრეთვე აგენტებს, რომელთაც წაღებულ გაზეთების ფული არ გადაუხდიათ, 10 მარიობისთვიდან გაზეთების გზავნა მოესპობათ. ამიტომ კონტორა წინდაწინ გთხოვსთ დააჩქაროთ ხვედრი ფულის შემოტანა.

### „საქართველო“-ზე ქუთათურ ხელის მომწერთა საყურადღებოდ.

ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთი“, რომლის საშუალებით გაზეთი „საქართველო“ ურიგდება ხელის მომწერლებს ბინებზე, ამით აცხადებს, რომ ვინც წლიურ ხვედრ ფულს **სრულიად არ შემოიტანს კანტორაში 10 აგვისტომდე,** მას რედაქციის განკარგულებით **გაზეთის გზავნა მ ო ე ს პ ო ბ ა** და კანტორა დარჩენილ ფულის ასალებად ზომას იხმარს.

5—უ—4 **კანტორა „იმერეთი“.**

### თბილისი, მარიამობისთვის 3.

## კათოლიკოსის არჩევნების გამო

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის არჩევამდის მხოლოდ ორი კვირა თუ დარჩა.

ქართველი სამღვდელოების და საზოგადოების წრეები დიდის ინტერესით ეკიდებიან დასახელებულ კანდიდატების ვინაობას.

როგორც ვიცით, სულ ოთხი პირია ჯერ-ხნობით დასახელებული: ახლანდელი კათოლიკოსის მოსაყდრე ეპ. ლეონიდე, არქიმანდრიტი ამბროსი (ხელაია), ეპ. კირიონი და არქიმანდრიტი ნიკოლოზი (ნამორაძე).

ამჟამად არ გვაქვს აზრად კანდიდატთა პირადი შედარება ან დაფასება. საჭიროა ყურადღება მხოლოდ საერთო შეხედულებისა.

საქართველოს ეროვნული და დემოკრატიული ინტერესი იმას მოითხოვს, რომ ავტოკეფალურ ეკლესიის კათოლიკოსი გულით, სულით და გონებითაც მთლად ეკლესიისათვის იყოს გადაგებული. ამომრჩეველთა პატივისცემაც იმას უნდა ჰხვდეს, ვინც ამ პასუხისმგებ საქმეს უფრო შეეფერება თავისი ზნეობრივი და ინტელექტუალი ცენზით.

მთელი ქვეყანა და მასთან ჩვენი სამშობლოც დემოკრატიის ხანაში გადვიდა და თუ დემოკრატიული აზროვნება და მოქმედება სავალდებულო ჰხდება ყოველი ეროვნული დაწეს ბულების გაძლიერებისათვის,—მით უფრო აუცილებელია ეს ეროვნულ ეკლესიის მესვეურობისათვის.

ამიტომ კარგ ნიშნად უნდა იქმნას მიჩნეული „სამღვდელოების დემოკრატიული ნაწილის“ ხმა, რომელიც გაზეთ **„ერთობის“** ფურცელზედ გაისმა.

„სამღვდელოების დემოკრატიული ნაწილი“ აცხადებს, რომ „მასაც ჰყავს თავისი საკათალიკოსო კანდიდატი“ და კანდიდატის წამოყენებაში კი იგი სამი მოსაზრებით ხელმძღვანელობს: „კათალიკოსის დემოკრატიულ მიმართულებით“, ავტოკეფალურ ეკლესიის „ისტორიული სიმართლის თანამედროვე საჭიროების“ შესაფერ „აქტიურ მოქმედებით“ და ბიუროკრატიულ მართვა-გამგეობის მოსპობითო...

ჩვენ ვგონებთ, რომ „ერთობის“ ფურცელზედ დასტამბული მოთხოვნილებანი მთელი ქართველი სამღვდელოებისაა. განა ჩვენი სამღვდელოების მხოლოდ ნაწილია დემოკრატიული თავისი მდგომარეობითა და შეგნებით?—ვგონებთ რომ არა.

საქმე ბოლოს და ბოლოს მხოლოდ ამ მთელ სამღვდელოებისათვის სავალდებულო სარწმუნოებრივ, დემოკრატიულ და ეროვნულ მოთხოვნილებათა შესაფერ პიროვნების გამორჩევა არის.

იმედია, რომ ამ პიროვნების არჩევაშიც მთელი ქართველი სამღვდელოება და ერიც ერთსულოვანი იქნება და არ დანაწილდება.

## ეროვნული დემოკრატია

იყო დრო, როდესაც ერის ისტორიას ჰქმნიდა მხოლოდ წარჩინებულთა კრებული, იგი სჭედდა მის ბედს და მეთაურობდა მის ცხოვრებას, ხოლო გონებისა და აზრის გაფართოება-განვითარებამ, ადამიანის კულტურულმა გარდაქმნამ და მისმა დაუღალავმა ბრძოლამ შესცვალა პირობები ისტორიული ცხოვრების მესაჭეობისა. მან ძალა-უფლება ერის მესვეურობისა დემოკრატიას გადასცა. დღეს დემოკრატია პასუხის მგებელი თავისი ერის და მისი ისტორიის წინაშე. დღეს ყოველი ჩაგრულის, უფლება აყრილის და უსამართლო ძლიერების მიერ არარად ქცეული ერთა მხსნელად, მისი ბედის გამომჭედათ, მისი თავისუფლებისა და ღირსების მედროშედ მისივე დემოკრატია გამოდის.

შეგნებულმა დემოკრატიამ ყოველის ერისამ მტკიცედ შეითვისა და შეიგნო ეს დიადი როლი და მან ეროვნული დროშა უშიშრად და მედგრად აღმართა. მანვე სიტყვა საქმედ აქცია, გლოვა-ზარი, მწუხარება და გოდება მოქმედებაზე შესცვალა...

ვინ არის მეთაური და სულის ჩამდგმელი ირლანდიის ეროვნული მოძრაობისა, ვინ იბრძვის და მოქმედებს მთლიანი, ერთეული და განუყოფელი ირლანდიის აღსადგენათ, ვინ ეღობება წინ ინგლისის სურვილს ირლანდიის ტერიტორიალური სხეულიდან ულსტერნის გამოყოფისას, რომ მომავალი თავისუფალი ირლანდია იქმნეს სუსტი და უღონო ეკონომიურად, სტრატეგიულად და გეოგრაფიულად და ვერ შესძლოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების ჯეროვნად განვითარება-გაწმენდა?—ეს არის დემოკრატიული ნაწილი ირლანდიისა, მისი ეროვნული მებაირაღტრე, რომელთა ირგვლივ გაერთიანებულია მთელი ერი.

ვინ მეთაურობს ფინლიანდიის განთავისუფლების საქმეს, ვინ არის იდეოლოგი დამოუკიდებელი ფინეთის შექმნისა, ვის უპირავს ძლიერი ეროვნული დროშა?—ფინეთის სოციალ-დემოკრატიას, უშიშარს, მედგარს და სამშობლოს სიყვარულის უკეთილშობილეს გრძნობითა და იდეალით გამსჭვალულს.

ვინ არის ავანგარდი უკრაინის თავისუფლებისა, ვინ დასჭექა უკრაინას ძლიერი ხმით. **„ეშჩე უკრაინა უმერლა“**—უკრაინის ეროვნულმა დემოკრატიამ.

ვინ იბრძვის ჩეხთა თავისუფლებისათვის, ვინ იბრძვის ჩეხეთის ნაწილის, ბოჰემიის, საერთო სხეულიდან გამოგ-

ლეჯის წინააღმდეგ?—აქაც ჩეხთა დემოკრატიაა.

ბოჰემია შეადგენს ჩეხეთის განაპირა ადგილს. ულმობელმა მტერმა იქიდან ნელ-ნელა გამოაძევა ჩეხები და შიგ გერმანელები ჩაასახლა. მტრები ჩეხებისა ცდილობენ ეს ნაწილი გამოაცალონ ჩეხეთის ტერიტორიას; ხოლო მთელი ერი ჩეხეთისა მზათ არის სიცოცხლე შესწიროს ამ უსამართლობის წინააღმდეგ. ბოჰემია განუყოფელი ნაწილია ჩეხეთისაო, გაიძახიან ჩეხელი დემოკრატები.

დემოკრატიული ხანა ერის ცხოვრებაში, დემოკრატიული იდეია, დემოკრატიული სული ჰქმნის ეროვნულ სულსა და ეროვნულ იდეალს, ეროვნულ ენტუზიაზმს... ის მუდამ იმარჯვებს. .

საქართველოს ხსნა, ჩვენი სამშობლო მტერთაგან განაწამები, საუკუნის ბორკილით და მონობის უღლით გატანჯული საქართველოსი ქართველი დემოკრატიის ხელშია. ის არის პატრონი, მესვეური და ძალა მისი და მასვე ეკუთვნის პასუხისგება ისტორიის წინაშე.

ბ. ჯაიანი.

## ქართული პრესა

### ახალი „ობერ-პროკურორი“ კარტაშევი.

გაზეთ **„ჩვენ ქვეყანაში“** ბ-ნი ტრიფონ ჯაფარიძე შემდეგნაირად ახასიათებს ობერ-პროკურორ ლვოვის მოადგილეს ბ-ნ კარტაშევს.

კარტაშევი ცნობილია, როგორც სპეციალისტი კანონისტი, მაშასადამე ამ მხრივ მას სავსებით შეეფერება ეს ადგილი, ამასთანავე კარტაშევი ცნობილია, როგორც დამოუკიდებელი აზროვნების ადამიანი, პროფესორობის დროს კარტაშევმა სინდისის თავისუფლების შესახებ ხმა აღიმაღლა და ძველი რეჟიმის დროს გამეფებულ უსამართლობას აშკარათ შეებრძოლა. მართალია კარტაშევს, როგორც მოსალოდნელი იყო, პროფესორობაზე ხელი აიღებინეს და აკადემიიდან გააძევეს, მაგრამ ამით მისი მიმართულება არ შეცვლილა.

კარტაშევი დიდი წინააღმდეგია სინოდის დღევანდელი მიმართულებისა და მდგომარეობისა; როგორც კანონისტი კარტაშევი ვერ შეეგუება დღეს არსებულ არა კანონიერ ფორმებს და არა ქრისტიანულ სულს დღევანდელი საეკლესიო მართველობისას. დღეს არსებული საეკლესიო დისციპლინა კარტაშევს სხვა დროსაც დაუგმია და ნუ თუ დღეს მოიწონებს და დაიცავს? ჩვენთვის საყურადღებოა კარტაშევის აზრი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ. ერთ თათბირზე, სადაც ახალ მთავრობას სურდა გამოერკვია ტიპი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა მიწვეული იყო ბატონი კარტაშევი; მან ამ საგანზე წარმოსთქვა კანონიერათ დასაბუთებული რიხიანი სიტყვა, რომელიც ასე დაასრულა: **„რუსეთის ეკლესიას მეტი არაფერი დარჩენია, საქართველოს ეკლესიის წინაშე ბოდიში მოითხოვოსო“**. კარტაშევი იცავდა ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიის ტერიტორიალურ პრინციპს და წინააღუდგა მათ, ვინც თავზე გვახვევდა ნაციონალურ ანუ ექსტერიტორიულ ავტოკეფალიას. ასე მსჯელობდა დამოუკიდებელი აზრის ადამიანი, სპეციალისტ-კანონისტი და აი დღეს ის ადამიანი თვითონ არის ობერპროკურორი. საინტერესოა ყოველ შემთხვევაში, რა პოზიციას დაიჭერს დღევანდელ გამწვავებულ მდგომარეობაში.

ზოგჯერ მომხდარა, ხოლმე, რომ ჩვენს მოკეთეს და თანამგრძნობელს, როცა უფლება ხელში ჩაუვარდია, ჩვენი მოკეთეობა დავიწყებია და თანაგრძნობისათვის დრო აღარ დარჩენია. ღმერთმა ქნას, რომ ბ-ნს კარტაშევს, დიადაც ღირსეულ ადამიანს, ასე არ მოუვიდეს.

## ომი და ზავი

### პეტროგრადის საფრთხე.

**მოქმედი ლაშქარი.** მკათათვის 31. ჩრდილოეთის ფრონტის ერთი კორპუსის უფროსმა პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან ბაასის დროს სთქვა, რომ ჩრდილოეთის ფრონტის გარღვევა დიდი საფრთხე იქნება პეტროგრადისთვის, მაგრამ ჯერჯერობით პეტროგრადის ევაკუაციის საკითხი ნაადრევია. ევაკუაციაზე ლაპარაკი ფრონტზე ტყუილ შიშს გამოიწვევს. ეხლა კი ოფიცერთა და ჯარისკაცების დამოკიდებულება თან და თან უმჯობესდება. მიტინგების აკრძალვაც ჯარისკაცებმა საჭირო ზომად აღიარეს.

### რუმინეთის ფრონტზე.

**იასსა.** მკათათვის 31. 29 და 30 მკათათვეს რუმინეთის ფრონტზე მტერი აწარმოებდა სასტიკ იერიშებს მდინარე ლეოტოსისა და პუტნის ველებში, რომ დაეპყრა ოკნა, მაგრამ მოგერებულ იქნენ მტრისათვის დიდი ზარალით. წამოყვანილია 2.000 ტყვე. ბრაილოვის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა მსროლელებმა აიღეს ბულხანულის პოლკი, 4 ზარბაზანი, 3 ტყვიის მტყორცნელი და წამოიყვანეს 500 მეტი ტყვე.

### საფრანგეთის ბანაკის ცნობა.

**პარიზი.** მკათათვის 31. ოფიციალური. სერნისა და კრაონის შუა მტრის არტილერია დიდ მოქმედებას იჩენდა. ბილის სამხრეთით გერმანელებმა ჩვენს თხრილებზე იერიშები მიიტანეს. ჩვენ მოვიგერიეთ და დიდი ზარალიც მივაყენეთ. რეიმსის აღმოსავლეთით, შამპანში კასკისა და ტეტონის რაიონებში და აგრეთვე მაასის მარცხენა მხარეზე საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა. კარიერის ტყისა და ბეზონვოს მახლობლად მტრის მოულოდნელი თავდასხმა მოვიგერიეთ. დანარჩენ ფრონტზე ღირს შესანიშნავი არაფერი არა მომხდარა რა.

### მფრინავთა მოქმედება.

მკათათვის 3-ს ჩამოვაგდეთ გერმანელების ორი ჰაეროპლანი, დავაზიანეთ 13.

### იტალიეთის ბანაკის ცნობა.

**რომი.** მკათათვის 31. ოფიციალური. გორიცის და დეს-ფაიტის აღმოსავლეთით დიდი საარტილერიო ბრძოლაა. კიეზასა და ასტიკოს შუა ჩვენ პატრულებს მტერთან შეტაკება მოუხდათ. პოდოლის ღელეში მფრინავები მთელ ფრონტის მანძილზე დიდ მოქმედებას იჩენდნენ.

### ქრისტიანების დევნა ოსმალეთში.

**ათინა.** მკათათვის 31. მცხოვრებნი ქალაქ კერასუნდისა, ორდოისა, ტერგბოლისა, სამსუნისა, ინებოლისა და მათი არემარისა გადაყვანილ იქნენ მცირე აზიის შიდა ნაწილში. ბასრაში დასწვეს 20 სოფელი. ბრუსის ვილაეტში ქრისტიანთ მდგომარეობა ნაკლებ არ არის განწირული. საკავშირო ფლოტმა ჩააჩუმა კიდის ზარბაზნები, მათ შორის კარაბურუსი, რომელიც ესროდა ხიოსსა.

### კომისარების შეთანხმებული მოქმედება

**პეტროგრადი,** მკათათვის 21. სამხედრო მინისტრმა განმარტა, რომ ჯარის ფრონტის კომისარების მოქმედება უთუოდ უნდა ეთანხმებოდეს მთავარ-სარდლის კომისარისას. დაბალ კომისარების ყოველი განკარგულება პრინციპიალ საკითხებში აგრეთვე უნდა სრულდებოდეს ამავე კომისარის განმარტებების კვალად. ჩრდილო ფრონტის მოწყალების დების კრება ცხარე პროტესტს აცხადებს იმ დების წინააღმდეგ, რომლებიც ერთობლივ სტოვებენ თავიანთ ადგილს. კრება მოუწოდებს მათ კერძო ინტერესი შესწირონ მოვალეობას.

### მანეთიანის ფასის აწევა

**ჰელსინგფორსი.** მკათათვის 31. ფინლიანდიის ბანკმა ასწია მანეთიანის ფასი 135-დან 140 მარკამდის ასზე.

**ლონდონი,** მკათათვის 21. მტრის 20 ჰაეროპლანმა ჩამოაგდო 40 ყუმბარა ოსტენდეს მიდამოებში, მოკლულია 9 კაცი, 6 დედაკაცი და 76 ბავშვი, დაჭრილია 50. რაჩფორდში დაჭრილია 2.

### სათადარიგო ჯარის მოუმზადებლობა

**მოქმედი ლაშქარი.** მკათათვის 21. ამ უკანასკნელ თვეებში ჯარის შესავსები როტები სრულიად მოდიან. მათ მხოლოდ თითო ოროლა კაცი აკლდებათ. მათი სამხედრო მომზადება უმეტესად არ არის საკმაო. ეს სათადარიგო პოლკებში უმეცადინობით აიხსნება.

### ვენერიულ ავადმყოფობასთან ბრძოლა ლაშქარში.

**პეტროგრადი.** მკათათვის 30. უმაღლეს მთავარ-სარდალმა ბრძანება გამოსცა, რომ ვენერიულ ავადმყოფობამ ჯარში თავი იჩინა და დიდ საფრთხეს გვიმზადებსო. ლაშქრის საექიმო ძალებმა უკვე მიმართეს რაციონალურ საშუალებებს საბრძოლველად. მოქმედების გეგმა უკვე შედგენილია, მხოლოდ მის ცხოვრებაში გატარება ეჭიროვება და ამიტომ მოუწოდებენ ჯარის ყველა უფროსებს, რომ ყველა ნაჩვენები ღონის ძიება მიღებული და შესრულებული იქნეს.

## რევოლუცია

### დეპეშები

### მოსკოვის სახელმწიფოებრივი თათბირი.

**პეტროგრადი.** მკათათვის 31. დროებითმა მთავრობამ გადასწყვიტა მოიწვიოს მოსკოვში 12—14 აგვისტოსთვის სახელმწიფოებრივი თათბირი, რათა განამტკიცოს ერთობა მთავრობასა და რუსეთის ყველა ორგანიზაციებს შორის. თათბირზე მოწვეულნი იქნებიან წარმომადგენელნი პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, დემოკრატიულ, ეროვნულ, სამრეწველო-სავაჭრო და კოოპერატიულ ორგანიზაციათა, დემოკრატიის ხელმძღვანელ ორგანოთა, ჯართა უმაღლესი წარმომადგენელნი, სამეცნიერო დაწესებულებათა, უნივერსიტეტებისა და სახელმწიფო სათათბიროს ოთხივე არჩევის წევრნი. თათბირი გაიმართება ნიკოლოზის სასახლეში, კრემლში. თათბირი გაიხსნება მინისტრთა თავმჯდომარის დეკლარაციით, რომლითაც გააცნობს წევრებს რუსეთის დღევანდელ მდგომარეობასთან და ახალი მთავრობის პროგრამასთან. მას მოჰყვება სიტყვები ორატორთა შესახებ სახელმწიფო მმართველობისა და მეურნეობისა. თათბირის მოწყობა დავალებული აქვს ფოსტა ტელეგრაფისა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრებს. მოელიან 1000 დამსწრეს. შეკითხვა შეიძლება დროებითი მთავრობის კანცელარიაში.

### სწავლის დაწყების გადადება

**პეტროგრადი.** მკათათვის 31. სახალხო განათლების სამინისტროსთან შემდგარმა სათათბირომ შესაძლებლად სცნო გადაიდოს სწავლის დაწყება ყველა სასწავლებლებში 1 ოქტომბრამდე. საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად დადგენილება წარდგენილია დროებით მთავრობასთან.

### სამშობლოს დასაცველად

**პეტროგრადი.** მკათათვის 31. დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის თაოსნობით მარიამობისთვის 7-დე მოწვეულ იქმნება მოსკოვისა და პეტროგრადის ყველა დემოკრატიულ ორგანიზაციების წარმომადგენელთა ბჭობა. ბჭობა შეიმუშავებს სამშობლოს დასაცველად მასალებ უკანასკნელ ღონისძიებებს.

### იხსენით პეტროგრადი

**პეტროგრადი.** აგვისტოს 1. სამხედრო და პარტიის ორგანიზაციებმა ჩრდილო ფრონტისა და კომისარებმა მიმართეს მე-12 არმიას მოწოდებით—„იხსენით პეტროგრადი“, რომელშიაც ნათქვამია: „დრო აღარ არის მოფიქრებისა, გერმანელთა გამარჯვება აქ იქნება მეხის-დატეხვა თავისუფლებისა და რევოლუციის ბუდისა—პეტროგრადისათვის. პეტროგრადთან დაიღუპება ყველაფერი. ნუღარ მოვუცდით სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის სირცხვილსა და საშინელებას. განდევნეთ თქვენ შორიდან დამნაშავენი, სამართალში მიეცით ისინი, ვინც სირცხვილით ჰმოსავს სარევოლუციო ჯარისკაცებს. რუსეთის ძენო! შეერთდით, იხსენით რუსეთი!

### გაფიცვა ფინლიანდიაში

### სანოვაგის გადამალვა

**ჰელსინგფორსი.** მკათათვის 31. ექსპედიციისა და მიწადმოქმედების უფროსი, სენატორი ბულიოკი, რომელიც სათავეში უდგა სრულიად ფინლიანდიის სასურსათო საქმეს, სამსახურიდან გადადგა, როდესაც ჰელსინგფორსში და აბოში ვალიოს ამხანაგობის საწყობებში მიმალული 10,000 კილოგრამი ერბო და ყველი აღმოაჩინეს. ამან გამოიწვია მთელი რიგი დემონსტრაციებისა სენატის წინააღმდეგ, რომელმაც დაუშვა ასეთი გადამალვა სანოვაგისა. ბულიოკის გადადგომის ამბავი ხალხმა აღტაცებით მიიღო. მან განაცხადა, რომ განმარტებას მისცემს მხოლოდ სეიმის სოც.-დემოკრატიულ ფრაქციას.

### გაფიცვა ჰელსინგფორსში

**ჰელსინგფორსი.** მარიამობის 1. ქალაქში დაიწყო საერთო გაფიცვა. ტრამვაის მოძრაობა შეჩერებულია. გაზეთები არ გამოსულა. ღამე საქალაქო გვარდიის ძლიერმა რაზმებმა აიძულეს ყველა რედაქციები და სტამბები შეეწყვიტათ მუშაობა. ბოძებზე გაკრულია პროკლამაცია, ხელმოწერილი გაფიცვის კომიტეტისაგან, რომ გაფიცვა ხდება ჰელსინგფორსის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციის დადგენილებით, როგორც პროტესტი სასურსათო პოლიტიკისა, რომელიც საზარალოა მცხოვრებთათვის. გაფიცვა არ შეეხება რკინის გზებს, სურსათით სავაჭროებს და სამხედრო სამუშაოებს. გაფიცულები მოითხოვენ სენატის მთელი შემადგენლობის სამსახურიდან გადადგომას და ხელახლად არჩევას ქალაქის წარმომადგენლებისას იმ პირობით, რომ საქალაქო გამგეობაში მუშების შესაბამ რიცხვს დაეთმოს ადგილი.

### პურიშკევიჩის ოინები

ყოვლად სარწმუნო წყაროდან გვატყობინებენ: სტოკჰოლმში იყო კოპენჰაგენში გზად მიმავალი ვინმე სტანისლავ სტანისლავის ძე ლოზოვერტი. თავის-თავს იგი უწოდებდა სამკურნალო ნაწილის გამგედ ვ. მ. პურიშკევიჩის სანიტარულ რაზმისა. რუსებთან ლაპარაკის დროს, იგი არწმუნებდა მათ, რომ მიდის კოპენჰაგენში საიდუმლო დავალებით ვ. მ. პურიშკევიჩისა. ამ დავალებას, მისი სიტყვით, კავშირი აქვს პურიშკევიჩის განზრახვასთან მოახდინოს ახალი ცვლილება, რათა თავიდან მოიცილოს მუშათა და ძაღლთა (собачьихъ) წარმომადგენელთა საბჭო, როგორც თითონ იტყოდა, აღსადგენად „კანონიერ წეს-წყობილებისა“. ამბობდა, რომ იგი მიდის საზღვარგარედ დიპლომატიური პასპორტით, რის გამოც მიღებულ იქმნა ჩვენი სადიპლომატო წარმომადგენლების მიერ სტოკჰოლმში და კოპენჰაგენში.

## ეროვნული საკითხი

### რუსთ უკრაინელ ჯარების შეტაკება.

**კიევი.** მკათათვის 31. პოდოლის კირასირთა ლეიბ-გვარდიის პოლკის კომიტეტი აცხადებს, რომ გამოქვეყნებული ამბების შესახებ ბოგდან ხმელნიცკის პოლკისა სწორი არ არის, ამიტომ უზრუნველ საყოფად პოლკის კეთილი სახელისა, საყოველთაოდ ვაცხადებთ, რომ პოლკი მუდამ იდგა და იდგება წესიერებისა და კანონიერების ნიადაგზე და ყოველი საშუალებით იბრძოლებს უკანონობისა და უწესოების წინააღმდეგ, ვისგანაც არ უნდა წარმოსდგებოდეს იგინი და ვერც კამათს დავიწყებთ რადას წევრებთან, რომლებიც ავრცელებენ საგანგებოდ შეთხზულ ბრალდებებს ჩვენ შესახებ, რადგანაც მიგვაჩნია ეს თვის ღირსების დამცირებად. ჩვენს პოლკში ირიცხება 25 პროცენტი მალაროსიის მკვიდრთა, რომლებიც მარად პატიოსნად და შეგნებულად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას და ამიტომ პოლკს არ შეუძლიან ჰქონდეს ეროვნული შუღლი მათთან. არც რაიმე პროპაგანდა ყოფილა როდისმე პოლკში უკრაინელთა წინააღმდეგ.

### ახალ სეიმისათვის

**ჰელსინგფორსი.** მარიამობისთვის 1. სენატმა ახალ სასეიმო არჩევნებისათვის სიების შესადგენად საარჩევნო კომისიებისათვის შედგენილი ინსტრუქცია გამოაქვეყნა.

## რუსეთი და უცხოეთი

### პეტროგრადში შესვლის აკრძალვა

ქალაქის საუფროსო საქმეთა კომისარმა როგოვსკიმ შინაგან საქმეთა მინისტრს თხოვნით მიმართა. იგი სთხოვს, რომ აკრძალულ იქნეს კერძო პირთა პეტროგრადში შესვლა. როგოვსკი მოითხოვს აგრეთვე ზოგიერთა ლაზარეთებისა და დაწესებულებების პეტროგრადიდან გადატანას. ეს ზომა პეტროგრადის სანიტარულ და სასურსათო მდგომარეობითაა გამოწვეული.

### სახელმწიფო ბანკის მდგომარეობა

**პეტროგრადი.** მკათათვის 30. ფინანსების მინისტრს სახელმწიფო ბანკმა მკათათვის 23 სთვის ბანკის ანგარიშები წარუდგინა. აქტივი — სულ 18.788.295,716 მანეთი და 50 კაპ., აქედან—ოქროს ფული და ასიგნაციები—1.292.884,017 მან. 59 კ., ვერცხლისა და სპილენძის 124.034 032 მან., პასივის განყოფილებაში ნაჩვენებია გამოშვებული საკრედიტო ბილეთები 13.964.441.875 მანეთისა. ამას გარდა კასაში ქაღალდის ფული—118.568 125 მან.

### საალყო წესები ისპანიაში

**პარიზი.** მკათათვის 31. მადრიდიდან იუწყებიან: მინისტრების საბჭომ მთელს ისპანიაში საალყო წესების გამოცხადება დაადგინა. სატახტო ქალაქში სრული სიწყნარეა.

### გედერსონის მაგიერი

**ლონდონი.** მარიამობისთვის 1. ოფიციალური ცნობაა, რომ სამხედრო კაბინეტში მუშათა წარმომადგენლად გედერსონის მაგიერ კარნესი შევიდა. მისი დანიშვნა მთავრობაში მყოფ მუშათა წარმომადგენლებმა მოიწონეს.

### ალებ მიცემობა სპარსეთსა და რუსეთს შორის

**თეირანი.** მკათათვის 31. რუსეთ-სპარსეთის ბანკისა და ბაქოს სასურსათო კომიტეტის წარმომადგენლებმა გამართეს თათბირი ელჩთან რუსეთ-სპარსეთის ალებ-მიცემობაზე და იმ აზრს დაადგინეს, რომ, რადგანაც რუსეთისთვის საჭიროა სანოვაგის შემოტანა სპარსეთიდან, შემოღებულ იქნას საალებ-მიცემო მონოპოლია ომის განმავლობაში.

### გადასახადი შემოსვლის კვალობაზე

**ნიჟნი ნოვგოროდი.** მკათათვის 31. ფინანსიურ წრეებში ყურადღებას იქცევს ის ამბავი, რომ შემოსავლის კვალობაზე გაწერილი გადასახადი წარსული ნახევარ წლისა კარგად შემოაქვს ხალხს.

### მინისტრების სამართალში მიცემა

**ათინა.** მკათათვის 31. 80 მილიონი დრაჰმის სესხის გამოღებების დროს, რომელიც აიღო გუნარისისა და სკულუდისის სამინისტროს პარლამენტის ნებადაურთველად, ბევრმა დეპუტატმა შეიტანა წინადადება, რომ საგანგებო სამართალში მისცენ ყოფილი კაბინეტების მინისტრები.

## გედერსონის კაბინეტიდან გასვლა

**ლონდონი.** მკათათვის 31. გამოქვეყნდა გედერსონის კაბინეტიდან გასვლის გამო მისსა და ლოიდ-ჯორჯის შორის მიწერ-მოწერა. ლოიდ-ჯორჯი აუწყებს რა გედერსონს მის თანამდებობიდან გადადგომის მიღებას სწერს, რომ კაბინეტის დანარჩენი წევრები მეტად განცვიფრებულნი არიან გედერსონის მიერ მუშათა კონფერენციაზე დაჭერილ პოზიციით, რადგან მათ იმედი ჰქონდათ რომ გედერსონი სტოკჰოლმის კონფერენციაზე ბრიტანელ დელეგატების მონაწილეობას წინ აღუდგებოდა, მით უმეტეს, რომ მან უკვე იცოდა რუსეთის მთავრობის კონფერენციასთან დამოკიდებულება. რუსეთის მთავრობის განცხადება, რომ კონფერენციას იგი ისე უყურებს, როგორც პარტიულ საქმეს და კონფერენციის გადაწყვეტილება მთავრობის მოქმედებას არ შეზღუდავსო. გედერსონს მიღებისამებრ ეცნობა. ცნობასთან გაყოლილი წერილი გამოსთქვამს იმ აზრს. თითქონ ლონდონის ერთი გაზეთის თქმისა არ იყოს, რუსეთს ძლიან ჰსურდეს, რომ სტოკჰოლმის კონფერენცია შესდგეს, და რომ ამ არგუმენტის საზოგადო აზრზე იქაურ შრომისა და სოციალისტურ პარტიებზე ამ კონფერენციაში მონაწილეობის შესახებ გავლენა არ მოახდინოსო.

## კათოლიკოსის არჩევნებისათვის

დღეს, მარიამობისთვის 3-ს, სიონის საკათედრო ტაძარში საქართველოს სამოციქულო ეკლესიის პატრიარქ-კათოლიკოსის მოსაყდრე ყოვლად სამღვდელო ლეონიდეს მიერ თბილისის ქართველ სამღვდელოების თანამშრომლობით გადახდილ იქნება სამადლობელი პარაკლისი საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიის ძირითად დებულებათა დამტკიცების გამო.

## ქრონიკა

### თბილისი

◆ **გიორგი ზდანოვიჩის ნეშთი.** ახლად გარდაცვლილ პუბლიცისტ გიორგი ზდანოვიჩის ნეშთი ჩამოტანილ იქნება თბილისში და დაკრძალული ქართველ მოღვაწეთა პანთეონში.

◆ **ამიერ-კავკასიის საოლქო საბჭოს** თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა გ. ჟურული. მის ამხანაგებად ლებედევი, ალ. ხატისოვი და რცხილაძე. არჩეულ იქმნა აგრეთვე ოთხ წევრიანი სეკრეტარიატი.

◆ **ქალაქის გამგეობის საპროგრამო სხდომა.** ამ დღეებში ქალაქის გამგეობის შენობაში მოხდება საგანგებო სხდომა ახალი ქალაქის ხმოსნებისა, რომელზედაც მსჯელობა იქნება საპროგრამო საკითხებზე.

◆ **ქართული ეკლესიის გარშემო.** ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტს წარუდგა საქართველოს დროებით მართველობის დელეგაცია 4 კაცისაგან შემდგარი და მოხსენება წარუდგინა. სხვათა შორის დელეგაციამ აღნიშნა, რომ ნამდვილი ოფიციალი სტატისტიკურ ცნობებიდან სჩანს, რომ ამიერ-კავკასიაში 1365 ქართული მრევლია და მხოლოდ 169 რუსული. ამიტომ ყოვლად შეუწყნარებელია ამ მცირე რიცხოვან სამრევლოსთვის ცალკე ეგზარხოსის დანიშვნა და ისიც თბილისში. დელეგაციამ მოითხოვა, თუ ეგზარხოსის დანიშვნა აუცილებელია, მაშინ მის სამყოფ ქალაქად კავკავი იქნას დანიშნული. დელეგაციამ აგრეთვე მოითხოვა, რომ მომავალ ეგზარხოს არც ერთი ქართული ტიტული არ ეწოდოს, მაგალითად არქიეპისკოპოს თბილისისას.

◆ **ქართველ ეკლესიის მმართველობის შუამდგომლობა.** საქართველოს ეკლესიის დროებითმა მართველობამ შუამდგომლობა აღძრა ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის წინაშე, რომ შეზღუდულ იქნას მოქმედება ბაქოს ეპისკოპოზის გრიგოლის და ადგილობრივ სინოდალურ განყოფილების გამგის პოპოვის, რომელნიც დაუღალავად მუშაობენ არა სასარგებლოდ ქართულ ეკლესიისთვის.

◆ **სამხედრო ცენზურა.** სამხედრო ცენზურის შემოღების გამო, პრესის ბიურომ გადაწყვიტა იშუამდგომლოს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების წინაშე, რათა მოწვეულ იქნას ადგილობრივი პრესის წარმომადგენელთა ყრილობა, რომელიც გამოარკვევს სამხედრო ცენზურის ფორმას.

◆ **მტკვარში დამხრჩვალი.** მკათათვის 31 მუშტაიდის ახლოს მტკვარში დაიხრჩო ქართველი მაჰმადიანი შ. ომაძე. გვამი ჯერაც ვერ უპოვნიათ.

◆ **სასურსათო საკითხი.** მარიამობისთვის 2-ს სადგურ „თბილისში“ მოვიდა 4 ვაგონი ფქვილი და 1 ვაგონი დამტვრეული შაქარი.

◆ **ნიხრი რძეზე.** ამიერიდან ერთი ქილა რძე („კრუშკა“) უნდა იყიდებოდეს ერთ აბაზად.

◆ **სომეხთა ეროვნული კრება.** მარიამობისთვის 6 მოხდება დელეგატების არჩევნები სომეხთა ეროვნულ კრებისა, თვით კრება კი მოკლე დროში თბილისში იქნება მოწვეული.

### კავკასია

◆ **ახალ ბატალიონებში ჩაწერილებს დასავლეთის ფრონტზე არ უშვებენ.** კავკასიის ფრონტის მთავარსარდალმა კავკასიის ჯარის სიკვდილისა და მტრის მსვრელ ბატალიონებში ჩაწერა აუკრძალა. ამიტომ ყველა აქამდის ჩაწერილები ხსენებულ ბატალიონებს კი არ გაჰყვებიან დასავლეთის ფრონტზე, არამედ, თანახმად მთავარსარდლის განკარგულებისა, კავკასიის ფრონტზე უნდა დარჩნენ. მთავარსარდალმა გადასწყვიტა, რომ მათ დასავლეთის ფრონტზე გასაგზავნად შუამდგომლე დელეგაციებიც არ მიიღოს.

◆ **შავი ზღვის რკინის გზა.** მკათათვის 31 მოხდა სხდომა ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტში შავი ზღვის რკინის გზის შესახებ. დადგენილ იქნა, რომ მიღებულ იქნას ყოველივე ზომები, რათა ჩქარა იქნას დათავებული რკინის გზის შენება. ამისთვის დაადგინეს აირჩიონ კომისარიატი ინჟინერთა და სპეციალისტთაგან შემდგარი, რომელშიაც შევლენ აგრეთვე მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების წარმომადგენლები. ეს კომისარიატი ხელმძღვანელობას გაუწევს რკინის გზის გაყვანას.

### საქართველო

◆ **ქართველ სამღვდელოების კრება.** ქუთაისში მკათათვის 30 მოხდა ქართველ სამღვდელოების კრება, რომელზედაც თბილისიდან გაგზავნილი იყვნენ პ. გოთუა და ცაქვაშვილი. კრებაზე ყოველივე საკითხი ერთ ხმებით გადაწყვეტილა. თბილისის დელეგატები უკვე თბილისში დაბრუნდნენ.

◆ **სკოლების ნაციონალიზაციის გამო.** საქართველოს ეკლესიის დროებით მართველობას დაუდგენია, სკოლების ნაციონალიზაციის გამო შედგინოს და გამოსცეს ქართულ-მეგრული ლექსიკონი. თანხა გამოსაცემად უკვე გადადებულია.

◆ **ატენის სახერხავი ქარხანა.** ატენის სახერხავი ქარხნის მუშებმა ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტს მოსთხოვეს, რომ დათხოვნილ იქნას ქარხნის დირექტორი ენშჩინი მთელი მისი შტატით.

### პროვინცია.

◆ **სიღნაღის მაზრის სასულიერო** საბჭოთა კრების თავმჯდომარე ცინცაძე ტელეგრამით სთხოვს საქართველოს კათოლიკოსის მოსაყდრეს ყოვლად სამღვდელო ლეონიდეს, რომ მისმა მეუფებამ იზრუნოს ბოდბის მონასტრის ქონების დაცვისათვის, რასაც იტაცებენ იღუმენია ანასტასიას მომხრე მონაზვნები.

◆ **ბორჯომის ახალი კომისარი.** ბორჯომიდან იტყობინებიან, რომ ბორჯომის სახაზინო კომისრად დანიშნულ იქმნა ლ. რუხაძე და აკ. ჩხენკელს სთხოვენ, რომ ეს დანიშვნა დაამტკიცოს დეპეშით.

## მთიელთა ყრილობა

გაერთიანებულ მთიელთა ცენტრალი კომიტეტი იპატიჟებს მთლად ქართველ ხალხის წარმომადგენლებს განურჩევლად პარტიისა დაღესტნის ყრილობაზე დასასწრებლად, რომელიც შეიკრიბება აულ ანდიაში, მარიამობისთვის 10-ს.

ყრილობამ შემდეგ საკითხებზე უნდა იმსჯელოს.

1) მაჰმადიანთა სასულიერო საქმეები.
2) ხალხთა ძალების ორგანიზაცია რევოლუციის სახსნელად ანარქიიდან და კონტრ-რევოლუციიდან (სახალხო მილიციის შედგენა).
3) ბრძოლა ყაჩაღობასთან.
4) სასურსათო საკითხი.
5) ორგანიზაცია გლეხთა საბჭოების და მიწის კომიტეტების.
6) მცხოვრებლების მომზადება დამფუძნებელ კრებისთვის.
7) მუდმივი კავშირი ქართველ ხალხთან და ლიკვიდაცია იმ გაუგებრობისა, რომელთაც ადგილი აქვთ ქართველ და მთიელებს შორის.

ყრილობაზე გასამგზავრებლად აუცილებელია მანდატი.

# კახეთის მევენახეთა დამფუძნებელი კრების დადგენილება

30—31 მკათათვეს ს. გურჯაანში, ვასილ რცხილაძის თავმჯდომარეობით შესდგა კახეთის მევენახეთა კავშირთ-კავშირის დამფუძნებელი კრება. კრებას დაესწრნენ სოფლის კავშირთა რწმუნებულნი და საკრედიტო ამხანაგობათა წარმომადგენელნი. ღვინით ვაჭრობის აკრძალვით შექმნილ კრიზისის გამო კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლუცია: „ვღებულობთ-რა მხედველობაში იმ გარემოებას, რომ მევენახეობა შეადგენს უმთავრეს ძარღვს ჩვენი ცხოვრებისას, რომ თავის შემოსავლობით მევენახეობის კულტურა ბევრად უფრო მაღლა სდგას, ვიდრე სხვაგვარი რამ კულტურა ადგილობრივი მეურნეობისა, რომ მევენახეობის სხვა რამე დარგით შეცვლა ყოვლად შეუწყნარებელია, კრება პროტესტს აცხადებს ღვინით ვაჭრობის აკრძალვის გამო და საჭიროთ აღიარებს არამც თუ მოისპოს ყოველგვარი დევნა მევენახეობა-მეღვინეობისადმი მიმართული, არამედ პირიქით სათანადო ყურადღებაც იქმნეს მიქცეული სახელმწიფოს მიერ ამ უმაღლეს კულტურის განსავითარებლად და დაუყოვნებლივ აღდგენილ იქმნეს სრულიად თავისუფალი ღვინით ვაჭრობა, როგორც აქ ამიერ კავკასიაში, აგრეთვე რუსეთშიაც.

კრებამ ერთხმად აღიარა აგრეთვე ალაზნიდან სარწყავ არხების გამოყვანის აუცილებელი საჭიროება, რისთვისაც დაუყონებლივ უნდა იქნეს აღძრული შუამდგომლობა წყალთა სამართველოს წინაშე.

დასასრულ კავშირთა კავშირის საბჭოს წევრების არჩევნები მოხდა. არჩეულ იქმნენ: ვერმიშევი მიხ., ზარდიაშვილი გიგო, ჯანდიერი ეკატერინე, სარაჯიშვილი ალ., მჭედლიშვილი ვას., თუშმალაშვილი ალ., გოგნიაშვილი ლევ., ნაკაშიძე კოტე, ჩხატარაშვილი, ვაჩნაძე ივ., წულუკიძე მიხ., მაჭარაშვილი ნიკ., ნახუცრიშვილი, გიორგი წინამძღვრიშვილი და ჩიტოშვილი სოსო. სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქმნენ: ჯანდიერი გიორგი, აბაშიძე ნიკ., ბრაგვაძე გიორგი და მათ კანდიდატებად—ბ.ბ. დილმელაშვილი და ნაცვალაშვილი.

# დამფუძნებელ კრების დეპუტატთა რიცხვი

დამფუძნებელ კრების არჩევნების განსასაზღვრავად შემდგარმა საბჭომ თიბათვის 9-ის სხდომაზე დაადგინა: „დამფუძნებელ კრების დეპუტატთა რიცხვი 800 არ უნდა აღემატებოდეს. ამ რიცხვში ითვლებიან მტრისგან დაჭერილ ადგილებიდან გამოგზავნილნი და აგრეთვე ფლოტისა და ლაშქრის დეპუტატები (პოლონეთის სამეფოს და ფინლიანდიის გარდა).

ამ დადგენილებას დროებითი მთავრობა დაამტკიცებს. სრული იმედია, რომ დროებითი მთავრობა საბჭოს დადგენილებას მოიწონებს. მაშინ რუსეთში ერთი დეპუტატი საშუალოდ 200 000 მცხოვრებზე მოვა.

რადგან ციმბირის აღმოსავლეთი მხარე მეტად თხლად და შორი შორს არის დასახლებული, ამიტომ მათ მეტი დეპუტატები ეყოლებათ. ასე რომ ისინი ე 1 დეპუტატს 140.000 მცხოვრებზე გამოგზავნიან. კამჩატკაში მცხოვრებთ კი უფლება ეძლევათ 40.000 მცხოვრებზე 1 დეპუტატი აირჩიონ.

რომ დეპუტატების საერთო რიცხვი არ გადიდდეს, დანარჩენ რუსეთში თითო დეპუტატს 220.000 მცხოვრები კი არ აირჩევს, არამედ 215.000—220.000.

ვიცით რა თვითეულ გუბერნიის მცხოვრებთა რიცხვი—შეგვიძლიან გავიგოთ თუ რამდენი დეპუტატი ეყოლება ამა თუ იმ გუბერნიას დამფუძნებელ კრებაზე.

ქვემოთ ამის ცხრილიც მოგვყავს. ამასთან უნდა ვიცოდეთ, რომ გუბერნიების მცხოვრებთა რიცხვს ომში გაწვეულები არ ეთვლებიან. არ ეთვლებიან აგრეთვე ლტოლვილები იმ გუბერნიებისა, სადაც ისინი ლტოლვილან. ისინი ეთვლებიან მხოლოდ იმ გუბერნიების მცხოვრებთა რიცხვს, სადაც დასახლდნენ.

ამასთან საჭიროა ვიცოდეთ რომ თვითეულ გუბერნიაზე—ქვემოთ მოყვანილ დეპუტატთა რიცხვის გადიდება ჯარის რაოდენობაზე იქნება დამოკიდებული, რადგან ზურგის ჯარი გუბერნიის მცხოვრებთან ერთად აირჩევს დეპუტატებს.

**დეპუტატთა რიცხვი გუბერნიებზე**

| | | მცხოვრებნი ათასობით. | დეპ. რიცხ. |
|---|---|---|---|
| 1. არხანგელის | | 495 | 2 |
| 2. ასტრახანის | | 1,392 | 6 |
| 3. ბესარაბიის | | 2,520 | 11 |
| 4. ვილნის | | 2,246 | 10 |
| 5. ვიტებსკის | | 1,466 | 7 |
| 6. ვლადიმირის | | 2,008 | 9 |
| 7. ვოლოგდის | | 1,529 | 7 |
| 8. ვოლინის | | 3,057 | 14 |
| 9. ვორონეჟის | | 3,186 | 14 |
| 10. ვიატკის | | 3,380 | 15 |
| 11. გროდნოსი | | 1,137 | 5 |
| 12 დონის ოლქის | | 3,601 | 16 |
| 13. ეკატერინოსლავის | | 3,561 | 16 |
| 14. ყაზანის | | 2,596 | 12 |
| 15 კალუგის | | 1.229 | 6 |
| 16. კიევის | | 4,368 | 20 |
| 17. კოვნოსი | | 1,417 | 7 |
| 18. კოსტრომის | | 1,637 | 8 |
| 19. კურლიანდიის | | 469 | 2 |
| 20. კურსკის | | 2,839 | 13 |
| 21. ლიფლიანდიისა | | 800 | 4 |
| 22. მინსკის | | 2,709 | 12 |
| 23. მოგილევის | | 2,269 | 10 |
| 24. მოსკოვის | ქ. მოსკოვისა | 1,584 | 9 |
| | | 1,654 | 8 |
| 25. ნიჟნი-ნოვგოროდის | | 1,904 | 8 |
| 26. ნოვგოროდის | | 1,446 | 7 |
| 27. ოლონეცის | | 402 | 2 |
| 28. ორენბურგის | | 2,190 | 10 |
| 29. ორლოვის | | 2,258 | 10 |
| 30. პენზენის | | 1,835 | 8 |
| 31. პერმის | | 3,578 | 16 |
| 32. პეტროგრადი | ქ. პეტროგ. | 2,379 | 11 |
| | | 1,126 | 5 |
| 33. პოდოლის | | 3,874 | 18 |
| 34. პოლტავის | | 3,039 | 14 |
| 35. პსკოვის | | 1,265 | 6 |
| 36. რიაზანის | | 2,195 | 10 |
| 37. სამარის | | 3,534 | 16 |
| 38. სარატოვის | | 3,139 | 14 |
| 39. სიმბირსკის | | 1,832 | 8 |
| 40. სმოლენსკის | | 1,800 | 8 |
| 41. ტავრიდის | | 1,909 | 9 |
| 42. ტამბოვის | | 3,315 | 15 |
| 43. ტვერის | | 1,942 | 9 |
| 44. ტულის | | 1,665 | 8 |
| 45. უფიმის | | 2,916 | 13 |
| 46. ხარკოვის | | 3.312 | 15 |
| 47. ხერსონის | | 3,368 | 15 |
| 48. ხოლმის | | 731 | 3 |
| 49. ჩერნიგოვის | | 2,597 | 12 |
| 50. ესტლანდიის | | 1,196 | 5 |
| 51. იაროსლავის | | 1,248 | 6 |
| **კავკასია.** | | | |
| 52. თბილისის | | 1.546 | 32 |
| 53. ზაქათალის ოლქი | | | |
| 54. ერივანის | | 1.176 | |
| 55. ქუთაისის | | 1.064 | |
| 56. სოხუმის ოლქი | | | |
| 57. ბაქოს | | 1.395 | |
| 58. ბათომის | | 158 | |
| 59. ელისავეტპოლის | | 1.270 | |
| 60. ყარსის ოლქის | | 428 | |
| 61. ყუბანის ოლქი | | 2.814 | 23 |
| 62. დაღესტანის | | 712 | |
| 63. თერგის ოლქის | | 1.331 | |
| 64. შავი ზღვის | | 160 | |
| 65. სტავროპოლის | | 1.276 | 6 |
| **ციმბირი.** | | | |
| 66. ამურის ოლქი | | 326 | 6 |
| 67. პრიმორის. | | 556 | |
| 68. სახალინის. | | 42 | |
| 69. ენისეის | | 998 | 6 |
| 70. ზაბაიკალის ოლქი | | 1.072 | 6 |
| 71 ირკუტსკის | | 776 | 5 |
| 72. კამჩატკის ოლქი | | 41 | 1 |
| 73. ტობოლის | | 2.026 | 10 |
| 74. ტომსკის | | 1.478 | 21 |
| 75. ალტაის | | 2.631 | |
| 76. იაკუტსკის ოლქი | | 271 | 2 |
| **ტრამალის მხარე და თურქესტანი.** | | | |
| 77 აკმოლინის ოლქი | | 1.591 | 7 |
| 78. ზაკასპიის | | 562 | 2 |

დღეს, 3 მარიამობისთვეს, შუადღის 12 საათზე
სიონის საკათედრო ტაძარში
საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის მოსაყდრე
ყოვლად სამღვდ. ლეონიდეს
მიერ თბილისის ქართველ სამღვდელოების მსახურებით გადახდილ იქნება
სამადლობელი პარაკლისი
საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიის
ძირითად დებულებათა დამტკიცების გამო.
1—722—1

# სულიერი ყანა

ჩვენი პირველი წერილი („საქართ.“ № 160) თურმე, როგორც გვეუწყა, ისე ვერ გაუგიათ ზოგიერთებს, როგორც გასაგები იყო. ჩვენ იმას კი არ ვამბობდით, რომ დღევანდელი ბერები გარყვნილები არიანო, ან ვისმე ვაძალადებდეთ, გინდა თუ არა, ცოლი უნდა შეირთოო.

გონიერებას, ღმერთს ადამიანი რომ შეუქმნია, თან დაუყოლებია ნიჭი თავისებურ არსების გაჩენისა. იმაზე დიდი მადლი რაღა უნდა იყოს, რომ შეგეძლოს გააჩინო არსება მეტყველი და უმშვენიერესი ქმნილებათა შორის, არსება, რომელსაც მხოლოდ ძალუძს გონიერი ცხოვრება, არსება ღვთიურ სიბრძნის შემგნები და თავისუფალი.

ყველგან ვხედავთ დედალ-მამალ წყვილს: ადამიანებში, მწერებში, პირუტყვებში, მცენარეებში და სხ. ყოველი წყვილი ნაყოფიერობს, აჩენს სხვა წყვილებს, ახალ შთამომავლობას. ეს ყველასათვის უსაღმთოესი მოვალეობა და კანონია. ამ ღვთიურ კანონის დარღვევა იქნებოდა, რომ წყვილები გაჰყროდნენ ერთმანეთს და ყოველს განმარტოებით ეცხოვრა. რომ ეს ასრე მომხდარიყო, გვარეულობანი და შთამომავლობანი მოისპობოდნენ.

ქართველ ბერობის ნაშთი დღესაც ბუდობს ფშავ-ხევსურეთში. იქ ყველგან „ბერები“ ცოლოსნები არიან. ცოლოსნობდნენ ჩვენი კათალიკოსებიც, ვიდრე 753 წლამდე. რახან ჯანმრთელს სხეულში ჯანმრთელი სულია, ცხადია, სულის აშენება მარტო ხორცის დაძლევითა თუ მოკვლით არ შეიძლება. გამრავლდით და იუფლეთო, გვეუბნება უმაღლესი გონიერება. როგორ გამრავლდები, თუ დაიხშობ დედა-მამობრივ ნიჭს, გავარდები უდაბნოდ, განდეგილად იცხოვრებ, ხშირად მშიერ-მწყურვალი, უწიგნო, უპატრონო, დედმამის ალერსს მოკლებული, ეული.

სხვაფრივ ჩვენი ბერობის მნიშვნელობა და მისი უმანდელი დამსახურება თვალსაჩინოა. თავის-თავის უარმყოფელი ბერი მთელს თავის ძალღონეს სწირავდა სამშობლოს საკეთილდღეო საქმეს: აგებდა მშვენიერ ძეგლებს, ურწყულს და უდაბურს გამოჰყავდა არხები, აბიბინებდა ბიცადგილებს ბოსტნით, ბაღ ვენახით, ტყით, წალკოტით, ჰმართავდა სკოლებს, სახელოსნოებს, საფუტკრეს, ამრავლებდა საქონელს, სთხზავდა თუ თარგმნიდა ყოველგვარ წიგნს, ჰპატავდა წიგნებსა თუ საყდრებს და თავის რუდუნების შეძენილობას შეასწავლიდა თავის ღვიძლ ერს, რომელსაც მტრის მოსევის დროსაც უწევდა დიდ დახმარებას, ან უსარდლებდა კიდეც. ეს იყო ჩვენში და ეს თვალსაჩინოა ყველასთვის, ვისაც კი, თუ თვითონ არ უხილავს, გონების თვალი მაინც გადაუშლია საქართველოს არე მარეს საოცარ ნივთიერ სახეროთმოძღვრო ძეგლებისთვის, და იმ სასულიერო საუნჯისთვის, რომელიც დღეს დაგროვილია ჩვენს შესანიშნავ მუზეუმებში და აქა იქ დაშთენილა თვით მონასტრებშიაც. აუარებელ ხელნაწერ ძეგლთა შორის აღმოჩნდა ისეთებიც, რა გვართა არსებობა ევროპამაც კი არ იცოდა ამ ბოლო დრომდე, ვიდრე მათ არ გაიცნობდა ქართველებისავე აღწერითა და კვლევა-ძიებით. ვიმეორებთ, ჩვენებურ ბერობას წარსულში დიდი ამაგი დაუდვია და თვალსაჩინო წვლილი შეუტანია თვით საკაცობრიო კულტურაში.

საჭიროა ახლაც იმავე საკულტურო გზით იაროს, მაგრამ თავის მოქმედების ცხოვრების ახალ მოთხოვნილებასთან შეფარდებითა და შეწონით. თუ უწინ ბერობა აშენებდა და ამკობდა დიდებულ ტაძრებს, ურწყულს სარწყავ ნაფუძვრებად აქცევდა, ავრცელებდა მწიგნობრობას, უნერგავდა ერს ადამიანის ამამაღლებელ სიყვარულს, მამულისა და ქვეყნის ერთგულებას, ნუთუ დღეს ის მაინც არ უნდა შეეძლოს, რომ ნგრევა-ოხრებისაგან იხსნას წინაპართა ნაშენები, რუდუნებით ნახარებები კლდე-ხრიოტზე ისე, ვით დღეს დალოცვილი ფინნები აშენებ-ახარებენ თავიანთ კლდოვან ფინლიანდიაში! შვიდ ივერიის ფეხი რომ შედგაით შიამთის უდაბნოში, იქაურობა ამქვეყნიურ სამოთხედ დაგვესახა ტყე-ღრით, ჰაეროვნებით, საკვირველ თვალ-მიუწვდომ სახილველებით დიდ კავკასიონის მწვერვალებამდე. ნამდვილ მგოსნურ ალერსიანობას ჰგვრის კაცს დიდებული სურათი, რომელიც აქაურ საწინამძღვრო სახლის ზემო სართულის ფართე აივნიდამ თვალწინ იშლება ალაზნის აყვავებულ, ბაღ-ვენახებით მოქარგულ ველისკენ. თუ გაძლიერდა ამ უდაბნოში მეფუტკრეობა, მესაქონლეობა და სხ. დარგები მეურნეობისა, თუ მის შორი-ახლო ლამაზ და წყარიან ადგილებში მოეწყო საგარაკო სახლები, იგი უხვად გამოკვებავს არათუ ათიოდე მოღვაწეს, არამედ შეიქმნება ისეთ შემოქმედებითან წყაროდ, რომელიც შეეძლება თავის ხარჯით აწარმოვოს მთელი თვალსაჩინო აკადემიური დაწესებულებაც ან-და დააშენოს თავის წიაღში ახალ-ახალი სოფლები, გააუმჯობესოს სოფლიერთ ცხოვრება, [illegible] ეს ღვიძლ ერის.

ამგვარსავე სამსახურს გაუწევენ ერს სხვა მონასტრებიც; გარეჯა, ქვათახევი, გელათი, მარტყოფი, ჯუმათი და სხ. ამათი ორგანიზაცია ზი რი მოღვაწეობა ისეთსავე ნაყოფს გამოიღებს, ვითარც გამოიღო ქართველ თავადაზნაურობის ძმურ შეკავშირებამ, რის წყალობით შეიქმნა ისეთი დიდი საეროვნო საქმეები, ვით კახეთის რკინის გზა, ქართული ბანკები, ქართული გიმნაზიები (თბილისსა და ქუთაისში), გლეხთა მიწად მომწყობი კომიტეტი, წინამძღვარიანთკარის სამეურნეო სკოლა და სხ. ამგვარივე დიდი საქმეების პატრონი შეიქნება ჩვენი სამღვდელოებაც, თუ მიიწადინა უმანდელ მოღვაწეთა მსგავსი შრომა-რუდუნება და ამ შრომა-რუდუნებას თუ საფუძვლად დაუდო თავის კეთილდღეობასთან ერთად კეთილდღეობა აშენება სამშობლოისა.

ვათავებ სამოციქულოს სიტყვებითვე: „ჯერ არს ეპისკოპოსისა, რათა უბრალო იყოს ერთის ცოლისა ქმარ, ფრთხილ, წმიდა, შეკრულ, სტუმართმოყვარე, სწავლულ, არა-მეღვინე, არა ანგარ., თვისისა სახლისა კეთილად განმგებელ, შვილნიმცა უსხენ დამორჩილებულნი ყოვლითა ღირსებითა. ხოლო უკეთუ ვინმე **თვისსა სახლსა განგება არა იცის**, ვითარმე ეკლესიათა ღმრთისათა **მოღვაწება აქვს?**“

ჩაუკვირდით ამ სიტყვებს.

**შ. ჯანაშვილი.**

# სოფელი ახალქალაქი

ყოველ მხრიდან ისმის, რომ ახალმა წეს-წყობილებამ, დიდმა რუსეთის რევოლუციამ სოფელს, ჯერ-ჯერობით მაინც, სიკეთე არა მოუტანა რა, პირიქით დიდი არევ-დარევა შეიტანა ისედაც უფერულ და უკულტურო ცხოვრებაში.

სოფელი ახალქალაქი, ეს კარგა მოზრდილი ცენტრი რამოდენიმე ათეულის სოფლისა და მთელის თემის ხეობისა, რასაკვირველია, არ შეადგენს ბედნიერ გამონაკლისს! პირიქით ამ სოფლის მოუწყობლობა და გაჭირვება, უეჭველია, დიდად გადააჭარბებს თავის მოძმე სოფლების სივაგლახეს.

ძველი მოხელენი და მამასახლისი პირველ რევოლუციის ხანებშივე გადაყენებითა, ახლად არჩეულნი დეზერტირებათ გამოუცხადებიათ და ქალაქებში გაურეკნიათ და მანამ საქმე გამოირკვევა, სოფელი ისედაც უპატრონო და მოუვლელი, ხვთის ამარათ არის დატოვებული.

სოფელი კი დიდია, რვაას-ცხრაას კომლიანი და ზაფხულობით ხომ საველებით სავსეა საზაფხულოთ მოსული ხალხით. ყოველი უბანი, ყოველი ცოტათ თუ ბევრად რიგიანად ნაშენი სახლი, გატენილია სა გარეკოთ მოსული ბავშვებით და ქალებით. მშობლებს სოფლად გამოუყვანიათ დასასვენებლად და გასაჯანსაღებლად მოზარდნი, და აქ კი საშინელ შიმშილობას და მრავალ სხვა გაჭირვებას განიცდიან. აგერ ერთი თვეა სოფელში ფქვილი აღარ არის. მეპურეების დუქნები დაკეტილია და მცხოვრებნი მოაგარაკეებთან ერთად მთელ დღეს პურის ძიებაში ატარებენ და თუ ოდესმე მიაგნეს სადმე ჩარჩებისგან შემთხვევით ქალაქიდგან მოტანილს ნახევრად გამოუცხვარ და სიმინდის ფქვილ ნარევ პურს, ნაწილებივით

# თბილისისკენ და თბილისში

## განცდანი.

I

თუმცა ვიცოდი, რომ გზაში ბევრი უსიამოვნება შემხვდებოდა, მაგრამ ვიხელთე თუ არა დრო, დიდის სიხარულით ვიყიდე ბილეთი და გულის ფანცქალით შევედი მეორე კლასის ვაგონში—თბილისისაკენ მოვემგზავრებოდი.

— მალე ჩემს ბებერ თბილისში ვიქნები და დავისვენებ—მეთქი,—გავიფიქრე და მოუთმენლობით გზას ვიკაფავდი—ადგილს ვეძებდი ჩამოსაჯდომს.

— ნელა, რას მიგლიჯინობ! დამიყვირა ერთმა ბურთივით რგვალმა კაცმა და ფერდში ლაზათიანი მუშტი მითავაზა.

— უკაცრავად... ხედავთ, რა ვიწროობაა?

— მერე რა ჩემი ბრალია?

— არც ჩემი ბრალია!...

მგზავრმა რაღაცა წაიბურტყუნა და ხენეშა ბოხლვით გასავალ კარებისაკენ გასწია.

მე კი სოლივით ჩავეჭედე სხვა მგზავრთა შორის, ბარგის დასალაგებელ ბადის კავს მაგრა მოვეჭიდე და მწყერივით სული გავნაბე.

ცხელოდა, სუნთქვა მიჭირდა, ოფლში ვიწურებოდი.

— ახ, ბოჟე მოი, ნეტა როდის დაიძრება მატარებელი?... ლამის გული წამივიდეს!—მომესმა ნაზი ხმა ქალისა.

გადავხედე. ქოჩორა ვარიასავით ლამაზი ცერა (გასათხოვარი ქალი) ფანჯარასთან აყუდებულიყო და მსუბუქ მარაოთი სახეს იგრილებდა. აწითლებულს ძვირფასი შლიაპა გვერდზედ მოქცეოდა, მოღელილი მკერდი მტრედივით უთრთოდა, ლამაზ შავს თვალებში გიშრის წყალი ჩასდგომოდა. ოფლს მისი სახიდან ადგილ-ადგილ უმარილი ჩამოერეცხა და ქალის მუტრუცუნა სახე აეჭრელავებინა.

უნებურად საათს დავხედე.

— მალე გავალთ?—როგორც უცნობს,—ცალ-ყბად დამეკითხა და მარაო მოიმარჯვა.

— ამხანაგ კერენსკის საათით, აქამდე წასულიც უნდა ვიყოთ!—ღიმილით ვუპასუხე და კვლავ შევათვალიერე.

მხოლოდ ახლა შევამჩნიე, რომ ეს ქალიშვილი,—ღმერთო შემცოდე,—თითქმის ტიტველი იყო. შავი „გაზის“ კაბა ოდნავ მალავდა მის სხეულის ნაკვთებს. სახელოებიდან მოუჩანდა მკლავ-იდლიის თითოეული ხაზი. მკერდზე, აქეთ-იქით გამოუკიაფობდა „პრომშეკაზე“ ლამაზად გამოყურთმაჯებული, ბაცი ჩაის ფერი ლენტები, რომლებიც მორცხვად ჰფარავდნენ ძალზე გაჭრილ „ლიფის“ ნაპრალებში ჩაჭედილ მკერდის ბორცვებს. „გაზი“ ღრუბელივით მოსდებოდა შრიალა აბრაშუმის, მუხლებამდე მოკლე მის „იუბკას“, თუმცა ყვავილ ფერი „ზამშის“ მაღალ ქუსლებიანი და ღილებით შეკრული კოშია და ძვირფასი წინდა—ფეხსაცმელები ჰპალავდნენ ძალზე მოკლე კაბის სულ წრაფ კადნიერებას.

ერთი ყმაწვილი კაცი ვეფხვივით მიჰყურებდა მას და ცეცხლივით ანთებულ თვალებს აღარ აშორებდა...

ქალი შეირხა, კაბა იუბკა გაასწორა და მორცხვად დამეკითხა.

— განა კერენსკი თქვენი ამხანაგია? ეგ საათი იმან გამოგიგზავნათ?

გავიღიმე... სხვებმა სიცილი დაიწყეს. ქალი წამოწითლდა, გაიბუტა.

— ახლა, ვინც შავრაზმელი არ არის, ყველა ერთი მეორის ამხანაგია, თუნდაც ერთ-ერთი მათგანი მინისტრიც იყოს.—სთქვა სკამის კუთხეში მიჯდომილმა ყმაწვილმა კაცმა.

— კერენსკის საათს კი იმიტომ ვეძახი, რომ აქ, საქართველოში, მისის ბრძანებით ყველა საათები ერთის საათით წინ წავწიეთ—მეთქი,—დავუმატე მე ყმაწვილის ნათქვამს.

ცერა ყურს აღარ გვიგდებდა, ფანჯარაზე გადაყუდებული, ვიღაცას ელაპარაკებოდა.

— სერიოჟა! დუშკა! პრინესი მნე სტაკან ვოდი, ესლი ნე პოზდნო. ეხვეწებოდა ქალი.

— ჯერ კიდევ ნახევარი საათია წასვლამდი... ჩამოდი ძირს.—ემუდარებოდა ყმაწვილი გარედან.

— ესლი ტაკ, იდუ... ცერა შველივით მოტრიალდა და შაშვივით გამოფრინდა მკლავ ქვეშ.

— პარდონ! იზვინიშა მოჯახებისათვის.

— ვინოვატ! ვუთხარი მეც და კარს ხელი გავუშვი.

ცოტა ხნის შემდეგ ფანჯრიდან თვალი მოვკარ, რომ ეს ქალი ბაქანზე ვიღაც პრაპორშჩიკს ეხუტებოდა.

პრაპორშჩიკი ცოტა გახუნებული იყო, მაგრამ მისი მშვენიერი თვალები და ახოვნება მილოსის ვენერასაც კი გულს აუტოკებდა.

— იცით ვინ არის ეგ ქალიშვილი? დაეკითხა ერთი მგზავრი მეორეს.

— ვინმე ბურჟუას ქალი იქნება, ან დიდი კნიაზისა... ტანისამოსზე რომ არიან გადაგებულნი.

— ვერ მიგართვეს. ეგ ხარლამპის ქალიშვილი გახლავთ.

— ვინ ხარლამპაა?

— აი წყალს რომ გვიზიდავს კ—ს ქუჩაზე.

— რას ამბობ, შე კაცო?! გაიკვირვა მეორემ.

— ღვთის ფიცავს!.. ამ ორი წლის წინად დაასრულა კლასი და ახლა თბილისში მსახურებს.

— უეჭველია მუშათა პარტიისა იქნება გესლიანად წამოიძახა მესამემ.

— მაშ, ნაციონალისტკა ხომ არ იქნება, მაგის მამას ცივი ქვიშის ჭამით კბილები აქვს გადაცვეთილი. შეუტია ყმაწვილმა კაცმა.

— პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! კვლავ დაცინვით სთქვა გესლიანმა მგზავრმა და უკმაყოფილოდ ამოიოხრა: მამა მეპოპკე, შვილი—ჰაეროპლანი... ასეთია კანონი პროლეტარიზაციისა!..

ამის გაგონებაზე კუთხეში მჯდომი ყმაწვილი აილეწა და ბოროტის თვალით ყველანი ჩამოგვათვალიერა.

იქ მყოფთ მეც თვალი გადავავლე და მივხვდი, რომ იმ სკამიან შეკუჩებული ათი თუ თორმეტი კაცი სულ სხვა და სხვა პარტიისა უნდა ყოფილიყავით. მწარედ ჩავიცინე ჩემს გუნებაში და გამახსენდა არაკი „დამპალი თოკის“ შესახებ.

ეს არაკი თქვენც გეცოდინებათ. ორი კაცი მიდიოდა. გზაზე თოკი იპოვნეს. გაყოფაზე წაიჩხუბნენ. ერთი თოკის ერთს წვერსა სწვდა, მეორე—მეორეს. გასწიეს. თოკი დამპალი გამოდგა. გაწყდა. ერთი მოჩხუბარი ერთ ხევში გადავარდა, მეორე—მეორეში და ორივემ კი ცხვირპირი ჩაიმტვრია.

— ვაი თუ ჩვენც „დამპალ თოკს“ ვეჯაჯგურებოდეთ და ყველანი კი ცარიელზე დავეხეთქოთ მეთქი!—ვფიქრობდი ჩემთვის, მაგონდებოდა რა ჩვენი პარტიების კინკლაობა—ჩხუბი.

უცებ თვალ-წინ წარმომიდგა ბებერა ხარლამპა—მეპოპკა, თავის გაძვალტყავებულ, დამშეულ ცხენით, ძალზე დაკონკილ ჩოხით; გამახსენდა ფეხზე ბაწრით მიკრული მისი ჯღანები, მისი მჭვირიანი, ჩამყაყებული, ყომრალი თმა წვერი, დაბრაწულ-დაკრეჭილი ჩაბალახი და მივიხედ-მოვიხედე. მინდოდა ერთხელ კიდევ დამენახა ხარლამპას ქალიშვილი, მაგრამ ქალი იგი ჩვენს ვაგონში აღარ შემოსულა.

იგი თურმე ვიღაც კოპწია „ბურჟუას“ ეტიკტიკებოდა რუსულად პოეზიაზე... სიყვარულზე,—მდიდრულად მორთულ პირველ კლასის კარაპანში...

II.

ხაშურამდე მუხლი არ ჩამიკეცნია. ჩვენი ვაგონი ჯერ იქვე ქუთაისშივე დაიხუნძლა კორკიმელის ხისავით: ნემსის კუნწი არსად ჩავარდებოდა! მგზავრთა რიცხვის დაკლების მაგიერ, გზადაგზა უფრო გვემატებოდენ და ჩვენი ვაგონი სწორედ ხოჯის აბანოდ გადაიქცა. ბილეთიანი თუ უბილეთო, აფიცერი თუ ჯარისკაცი, პროლეტარი, თუ ბურჟუა, ქალი თუ კაცი—ერთმანეთს იზიდებოდა, ეჯუჯღებოდა და გულიანად სწყევლიდა როგორც თავის გაჩენის დღეს, ისე რკინის გზის წესებს.

მატარებელი კი გარბოდა თავისთვის, უდარდელად, უზრუნველად, კიოდა, ქშინავდა, პირიდან ორთქლსა და კვამლს ბამბის ქულებათ ისვრიდა. ეს ორთქლი და კვამლიც ნელ-ნელა იშლებოდა, იძაფებოდა, მთა-გორაკებს თავს ევლებოდა, ვით ფიქრი ადამიანისა, ვით გამოურკვეველი ოცნება გამოურკვეველის მომავლისა!

— ოხრათამც დამრჩენილა ასეთი მგზავრობა! კაცი ფულს იხდის და მოსვენებით კი ვერა მგზავრობს!—დაიჩივლა ვიღაცამ. ეტყობოდა ჯიბე სქელი უნდა ყოფილიყო, მდიდრულად ეცვა, ოქროს საათს მალი-მალ დახედავდა ხოლმე.

— გეყოთ მოსვენება! ახლა ერთობა! გამოელაპარაკა მეორე მელე და ხელმოკლე კაცი.

— ერთობა განა იმასაა, რომ ერთმანეთი დავჭყლიტოთ!.. უკმაყოფილოთ სთქვა პირველმა და უგემურად გადახედა მეორეს.

— დაახ, უნდა გაიჭყლიტონ მუქთახორები! უკმეხად უპასუხა მეორემ.

— მუქთა-ხორობა აქ რა შუაშია, ბრიყვო, ვილაცა ხარ! გულმოსულად დაიყვირა ოქროს საათიანმა და წამოჭარხლდა.

— ბრიყვიცა ხარ და მეტიც! შეუტია თავის მხრივ, მელე კაცმა...

— ასტყდა ერთი ვაი-უშველებელი. მგზავრები შეშფოთდნენ, შეჩიჩქნილდნენ. აქეთ-იქიდან თავები წამოყვეს...

— მოლჩატ!! ზუბი ვიკოლოჩუ!

— ტი სამ მოლჩატ! ატო ტაკოი დამ, შტო იზდეს ეე სდოხნეშ!

— დურაკ!

— დურაკ, სვაბკ, ხოხლა-ქაბაკ!—აღიზიანებდა მეორე პირველს.

ზოგი იცინოდა, ზოგი ჰყვიროდა, ზოგი უკმაყოფილებას აცხადებდა.

საიდგანღაც მოკრიახდა ქალი-კონდუქტორი და როგორც იყო მგზავრები დააშოშმინა.

ამ აურზაურში ფანჯარასთან მოვექეცი და გადავიყუდე...

ზურგიდან ყურს მომესმოდა უაზრო ხმაურობა, თვალწინ კი გადმოშალა ტურფა ბუნება იმერეთისა... მალე გამიტაცეს მშვენიერმა სურათებმა სამშობლო ქვეყნისამ და ყური ვაგონში მყოფ ხალხის მოშრევნა დამპალ ჩარჩოთ ჩვენის დამპალისა, აყროლებულისა და გზა-აბნეულის ცხოვრებისა...

**ია ეკალაძე.**

(შემდეგი იქნება)

იტაცებენ და გირვანქაში აბაზ-ხუთშაურს არ იშურებენ.

რაც შეეხება მოსტნეულს, ხილს, რძეს, მაწონს, ყველს ამაზედ ნუღარას იტყვით! სუყველაფერი იშვიათად და შემთხვევით შემოდის და მხოლოდ ბედნიერნი და მამაცნი თუ იღებენ მათ გემოს.

ადამიანი იფიქრებს, უთუოთ სოფელი ახალქალაქი მწირ ალგაზედ არის გაშენებული, ჰავა და ნიადაგი ხელს არ უწყობს მშრომელთო, მაგრამ ამ მხრივ ახალქალაქი სწორეთ სამოთხესავით არის მოწყობილი: მშვენიერი ჰავა, წყაროები, აუარებელი სარწყავი არხები ყოველ კუთხემდი გაყვანილი და ამის გამო მდიდარ მცენარეულობა გარშემორტყმული. დიდრონი კაკლის, თუთის, ვაშლის და მსხლის ხეები-თუმცა სრულიად მოუვლელნი და გაველურებულნი, ამშვენებენ აქაურ ყოველ კუთხეს.

ხშირად შეხვდებით მშვენიერ და ნაგებ ქვიტკირის მარნებს, ლამაზის ცემენტით გალესილის დიდის საწნახლებით, ათ-ოც კოკიან ჩაკირულის ქვევრებით, ნახევარზედ დანგრეულთ და მიტოვებულს: ეს ნაშთებია ოდესღაც აყვავებულის მევენახეობისა, რომელიც ეხლა სრულიად გაპარტახებულია. ეხლა კი მთელ მიდამოზედ არ მოიპოვება არც ერთი მოვლილი ბაღი და ბოსტანი. მებატონეები, ოდესღაც შეძლებულ და თუმცა სხვის ხელით, მაგრამ მაინც რიგიანათ მომვლელნი მამულისა, ღარიბად ჩანან, ქალაქებმა და „სამსახურმა“ ჩანთქეს იმათ შთამომავლობანი და აქაური ხალხი კი უფრო ხელზედ ვაჭრობას და ჩარჩობას ეწყობა. სოფლის მეურნეობის შრომა და ბეჯით შრომას გულს არ უდებს.

რაღა ითქმის ამ დიდის სოფლის გზებზე, ეკლესიაზე, სკოლაზე და სისუფთავეზედ? ყოველივე ეს იმყოფება იმისთანა სიდამპლეში და უწესოებაში, რომ სოფელში მოსულ უცხოელს ეგონება აქ მცხოვრებნი პირველყოფილ ადამიანთა ხანაში იმყოფებიანო.

მიგრეხილ-მოგრეხილი, ვიწრო გზები, აუარებელი დანგრეული ნასახლარები, ყოველის უწმინდურობით სავსე, მებატონეების კეთილ სურნელოვანი ბაქები, ამშვენებენ იმ შარა-გზას, რომელიც შიგ შუა სოფელში გადის და რომელითაც აქაური მოაგარაკენი სასეირნოთ სარგებლობენ. გული გტკივა და სევდა გიპყრობს, როდესაც ხედავ მხიარულად მოკასკასე ნაკადულებს, რომელთა ძალა და მაცოცხლებელი მიმდინარეობა მხოლოდ ტალახს და შაბ-ეკალს აჩენს იმის მაგიერად, რომ დარგმო აყვავოს და კაცის საზრდო შექმნას, დამშეული და გულგაწბილებული მცხოვრები გაძღოს და გაახაროს.

როდის გაჩნდება მცოდნე და შეგნებული პატრონი ჩვენ ტურფა მხარეს? როდის შეიგნებს ქართველი კაცი მამულის გამოხიერების და იქიდგან და მხოლოდ იქიდგან ამოღებულის ნაყოფის გახარებას და გაძღომას. სად არის ჩვენი ქართული სამეურნეო საზოგადოება, ჩვენი ქართველი გულშემატკივარი ახალგაზრდობა, რომ ამ სამოთხისებურ მხარეს მიხედოს და უპატრონოს? თითონაც ირგოს და აქაურ მკვიდრნიც ფეხზე დააყენოს?

ბუნება მკვდარია, თუ კაცი იმითი არა სტკბება და იმის ნაყოფიერებას არ ათვითვისებს. ჩვენ კი? მხოლოდ ვამაყობთ იმით, რომ უფალმა ულამაზესი ქვეყანა გვარგუნა წილად და პირდაღებული შევცქერით, აბა ეს სილამაზე მოულოდნელად როდის დაგვეხანჯება და გვიბრუნებს თავის მოკასკასე პირს და უხვს სიმდიდრეს გულში ჩაგვიხვევს.

ეკ. გაბაშვილისა.

## კორესპონდენცია

### შავი ქვის საქმე.

ქ. ჭიათურა, ივლისის 27. მოგეხსენებათ, რომ ქ. ჭიათურაში სამი ფირმა არსებობდა გერმანელთა. ვიცოდით იმისა, რომ ეს ფირმები სულ უკანასკნელად ამოიცვლიდნენ ჭიათურის სამრეწველო დარგში, ისეთი დიდი სიმდიდრე შეიძინეს და მოეწყვნენ ტექნიკურის მხრით, რომ მათ კონკურენცია ვერავინ გაუწევდა. დღიდგან ომის გამოცხადებისა ამ ფირმების მამულების ლიკვიდაცია დაიწყო. ერთმა მათგანმა თავი შეაფარა რუსის ქვეშევრდომობას, რომელიც ამ ბოლო ხანობამდე უკვე აწარმოებდა ქვას და ორი კი დაუცხრომელ ლიკვიდაციაში იმყოფება.

ვის არ გაუღვიძა მადა ამ მამულების ხელში ჩაგდებისა—ვინ სიდან არ მოვიდა ადგილების პლანებისა და ქვის წარმოების პრობების ასაღებად. არ დაკლებია ამერიკელი, ინგლისელი, ფრანგი, ვარშაველი მილოშა და თბილისელი ბუღდანი.

უფლებას, გამჭრიახობას, საქმიანობას ამ ხანად ძალზედ მოკლებულია ქართველი საზოგადოება. ვერ წარმოვიდგენთ ძალას, რომ სამადნო და ამ სამრეწველო ცოდნით წინ მივდიოდეთ.—საქმის გაკეთების უნარი აქვს ჩვენს საზოგადოებას, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ, ყოველთვის არ გვეთმობა ფართო გამოსვლებისათვის ადგილი. ჩვენი ახმაურებით სხვანი სარგებლობენ და ჩვენ ყოველთვის ვრჩებით სუფრის ირგვლივ წითელ ღვინოსთან სამრავალჟამიეროთ გამზადებული.

შავი ქვის საბჭოს თავმჯდომარის ბ. ზ—ს ინიციატივობით ამ 10 წლის წინეთ შესდგა საზოგადოება „შავი ქვა“. დაიყო ჯგუფებად ხალხი თითო სოფელში თითო ჯგუფი 10 კაცისაგან შესდგებოდა მათ განსაზღვრული ადგილი ჰქონდათ საამხანაგოდ დადებული და მოსულ კაცს კი მილიონები—ამ ფეხზედ დაყენებულ საქმეს შეხვდა ადგილობრივი მოუმზადებელი ძალები და საქმე ჩაიშალა.

მოუმზადებლობას შეკავშირების მხრით ახლა ჩვენ საზოგადოებას ვერ დავწამებთ, მაგრამ მაინც ვერ მოახერხა საბჭომ, ანუ უკეთ ვსთქვათ, არ მოახერხებინეს, რომ სალიკვიდაციო მამულები შეეძინა და ამ საქმისათვის ჩაედგა ეროვნული სული. სალიკვიდაციო დაწესებულება, როგორც გვესმის, აღარ არსებობს. საქმე ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს გადეცა თავისად, მას საშუალება უთხოვნია თბილისის (კავკასიის) კომისარიატისათვის, და მამულები სახაზინოთ გვესმის—ნაწილს ხაზინა აიღებს და რამდენიმე ნაწილს შეიყიდიან და აქციონერულ საზოგადოებას შეადგენენ, და, რა თქმა უნდა, ვისაც ფული აქვს ის ჩაიგდებს საქმეს ხელში.

ამბობდენ იმასაც, რომ ხსენებული მამულების მოვლა-პატრონობა ადგილობრივ რევოლუციონურ ახალ ძალებს უნდა გადაეცესო რაც სასიამოვნო იქნებოდა და მაშინ თუ სათავეში საგანგებოთ მოწვეულ იქნებოდა ვინმე კომერციული ცოდნით აღჭურვილი პირი ვინაიდგან ადგილობრივი ძალები ამ მხრივ მოიკოჭლებენ.

ძალზედ მოსწიფებულია კითხვა იმის შესახებ, რომ შავი ქვის საბჭო ჭიათურაში გადმოიტანონ. ეს დღემდე გადაჭრელი კითხვა პირველ საკითხადაა დაყენებული მომავალ 20 ენკენისთვეს მოსალოდნელ შავი ქვის მრეწველთა ყრილობაზედ განსაკუთრებით და თუ კითხვა გადაწყდა და საბჭო აქ გადმოიტანეს როგორმე, ჩვენი, ახლა ქალაქად მონათლულის ჭიათურის მცხოვრებთათვის ძლიერ სასარგებლო და სასიამოვნო იქნება და მათ სამართლიანი საჩივარს, რომ დროზე არც წყალი და არც განათება არ აქვთ ბოლო მოეღება.—დღეს კი უსინათლოთ და უწყლოდ დატოვება ჭიათურისა შეუწყნარებელი რამ არის. ამიტომ საჭიროა ეთხოვოს რომელიმე სამრეწველო შავი ქვის ქარხანას, რომ მან დაუთმოს ჭიათურას ელექტრონის ძალა.

გალ. ქავთარაძე.

## წერილი რედ. მიმართ*)

### სურამში მომხდარ ამბების გამო.

(სოფლის რევოლუციის დღიურიდან).

ის იყო არჩევნობა შესწყდა, ჩამორთმეული ოფიცერი ადგილობრივ ჯარის კაცებს ჩააბარეს, და კრება თავის კითხვების გარჩევას უნდა შესდგომოდა, რომ ამ დროს სადღაციდაც გაჩნდა ა. მდივანი. აქ მან ერთი თავში ცემით, წუხილით და კინაღამ ტირილით მიმართა ხალხს, თუ რად ჩაიდინეს [illegible] თუ რისთვის [illegible] აგე ათ და ან თუ ვინ არის ამ კრების მეთაურები, მე დაწუნებული ვარ, ამბობდა მდივანი, რომ ამ კრებას მეთაურებიც ეყოლებოდა და რატომ ისინი მას არ დაეკითხენ და არ შეატყობინეს ამ კრების მოწვევა რადგან, მას რომ სცოდნოდა კრების დღე ადრე მოვიდოდა და ეს უბედურებაც თავიდან აიცილებოდათ. ახლა კი, დაასბოლავა ა. მდივანმა, დავიშალენით და შემდეგ კრებისთვის გადავდვათ კომიტეტის წევრების არჩევა, ანგარიშიც და შემდეგ ინციდენტის გარჩევაო. ამის შემდეგ არ გასულა ოცი წუთი, რომ ხაშურიდან მოწვეული ჯარის კაცები სურამს მოადგენ და გამწარებულ-გამოშტერებულს ხიშტებით მოღერებით და ლანძღვა-გინებით შეიძახოდენ: эй, ты федералистъ автономію хочешь, я тебѣ покажу хорошую автономію და უჩვენებდა ხიშტიან თოფზე; ხიშტიანი ჯარის კაცნი შეუცვივდნენ ორჯონიკიძის ქალებს სახლში და უკანასკნელთ ხელის ტანებით ეკითხებოდნენ: вы что автономію хатите? мы васъ задержимъ. რამდენიმე ხნის შემდეგ მოვიდნენ ჩემთან სახლში 36 ხიშტიანი ჯარის კაცი „პრეპორჩიკის“ თანხლებით და გამომიცხადეს თქვენ ადგილობრივ კომიტეტის განკარგულებით დაპერილი ხართო.

აგრეთვე შეიყარეს დანარჩენი ხუთი კაციც და საბარგო მატარებლით, შეიარაღებულ ჯარის კაცთა თანხლებით, ექვსი კაცი წაგვიყვანეს ხაშურში და ჯარის კაცთა თავდგომით ერთ პატარა ნესტიან-შმორიან ოთახში მოგვათავსეს. დაპერილებში სხვათა შორის სერგო აკოფოვი აღმოჩნდა, რომელიც თუმცა არც კი ყოფილიყო კრებაზე, მაგრამ დაიპირათ ძმის, ჩიტოს მაგივრად, რომელიც იმ დროს სახლში არ ყოფილიყო. იმ საღამოსვე ჩიტო თავისით გამოცხადდა და მოითხოვა ძმის განთავისუფლება, რადგან იგი მის მაგიერად იყო დაპერილი, მაგრამ ტუსაღების მეთვალყურემ ბიჭოს წევრმა, ხაშურის გიმნაზიის მასწავლებელმა, იმნაიშვილმა ესეთი პასუხი მოგვცა: „თუმცა ეგ დაპერილთა სიაში არ არის, მაგრამ ეგეც მანდ იყვეს უფრო არ მოგწყინდებათო“.

მთელი სამი დღე გამომწყვდეულები ვყავდით ექვსი კაცი ერთ პატარა ნესტიან ოთახში.

იარაღლე ხიშტებიანი ჯარის კაცები გვდარაჯობდენ, ვისმესთან ლაპარაკის ნებასაც არ გვაძლევდენ, წყალს არ გვასმევდენ და პურს არ გვაჭმევდენ. ასე ვიხედით მთელი სამი დღე ხაშურის საპყრობილეში, ვიწვევდით ბიჭოს წევრებს, მაგრამ არავინ გვეკარებოდა. ასე იყო თუ ისე, 16 მაისს, ნაშუაღამისას ხიშტიან ჯარის კაცთა თანხლებით გაგვისტუმრეს თბილისში აღმასრულებელ კომიტეტთან. უკანასკნელმა, სურამის აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილების თანახმად, ხუთ შეპყრობილ კაციდან, საქმის გამორკვევამდის, სამი მეტეხის ციხეში დაატუსაღა და ორიც თბილისში საცხოვრებლად დასტოვა. ამის შემდეგ ამიერ კავკასიის საგამოძიებლო კომისიამ საქმე დაწვრილებით გამოარკვია, დარწმუნდა რომ ისინი სრულიად უდანაშაულოდ ყოფილიყვნენ შეპყრობილნი და გაანთავისუფლა. მაგრამ ეს არ მოეწონა გორის მაზრის კომისარს ბ. ნინიძეს, მან საგამომძიებლო კომისიას უნდობლობა გამოუცხადა და განთავისუფლებულნი ხელმეორედ გორის ციხეში დაატუსაღა. ამგვარ გამოცემის ბრძანების დროს, პირადად, მე, ამ სტრიქონების დამწერი, თბილისში ვიყავი და აი ბ. ნინიძის ბრძანებით გორიდან რვა მილიციონერი ჩაისულიყო სურამში (21 თიბათვე) გარს შემორტყმოდენ ჩემ სახლს და თოფ-რევოლვერებით ხელში შესდგომოდენ სახლის ჩხრეკას. ეძებდენ ყველგან ოთახებში, სახლის ეზოში და თან გაიძახოდენ, „სად დაგვემალება, სადაც იქნება დავიჭერთ და სასტიკათ დავსჯითო“. სახლში რომ ვერ მიპოვნეს, მთელ გორის მაზრაში აქეთ იქით დეპეშები დაუგზავნათ ჩემ დასაჭერად. *)

ამ ამბის გამო საგამომძიებლო კომისია კვლავ ხელმეორედ შეუდგა საქმის გამორკვევას. მან 28 თიბათვეს გაჰგზავნა თავის წარმომადგენელნი, რათა პირადად მოელაპარაკნათ გორის მაზრის კომისარ ნინიძესთან, რომ იგი ახალ მთავრობის განკარგულებას დამორჩილებოდა და წინააღმდეგობა არ გაეწია; უკანასკნელმა თუმცა ახლად შეპყრობილნი გორის ციხიდან გაანთავისუფლა, მაგრამ სამაგიეროდ თავის ქინის მოსაკლავად იგინი მაინც გორის მაზრიდან გადმოასახლა.

ამ გვარად ბ. ნინიძე იმაყოფილებს თავის პირადულ ქინის მოთხოვნილებას და ემსახურება საერთო სარევოლუციო საქმეს კი არა, არამედ თავის „მე“-ს და კერძო ინტერესებს; მას ყველა იმ ხუთ შეპყრობილ პირთაგან პირადული ინტერესი და მტრობა აქვს. ერთი მათგანის კერძო საჩივარით სურამის მსაჯულის განაჩენით ბ-ნ ნინიძეს **გადაწყვეტილი აქვს ოთხი დღე დაპატიმრება,** მეორე უჩივის ცილის წამებას და ამაზედ **ამ ჟამად საქმე სწარმოებს თბილისის საოლქო სასამართლოში,** მესამეს იმაზედ ემტერება, რომ იგი მისი მეოხებით 1916 წელს სურამის საზოგადოების მმართველ პირთა გამგედ (?) არ იქმნა არჩეული, მეოთხე და მეხუთეზე შურს იძიებს იმის გამო, რომ ისინი საჯაროდ თხოულობდენ მისგან კოოპერაციის, წვრილ კრედიტის, სასოფლო სასწორის და სასაკლაოს შემოსავალ-გასავლის ანგარიშს (ყველა ამის დამამტკიცებელი საბუთები ინახება და მსურველთ შეუძლიანთ თავის თვალით დარწმუნდნენ).

აი ყველა ის მიზეზები, რისთვისაც ბ-ნი ნინიძე ცხარობს, შეუპოვრობის საზღვარს გადადის, არ ემორჩილება უმაღლეს მთავრობის დადგენილებას, და სურს დროებით მოპოვებულ უფლებით ისარგებლოს, და მით წარსული ბოღმა მოიკლას. აი სწორედ ეს არის მიზეზი რომ ბ-ნ ნინიძეს დაავიწყდა დღევანდელ მომენტის უმთავრესი საგანი და ეს ორი თვეა ამ ხუთ კაცს დასდევს, როგორც ქვეყნის დამქცევ ყაჩაღებს, ატუსაღებს მათ, არბევს, შეურაცხყოფას აყენებს, ათასნაირ ჭორებს ავრცელებს, რომ ვითომ ისინი რეაქციონერები იყვნენ, რევოლუციას აფერხებდენ და ძველ მთავრობისკენ იწევდენ! პირიქით ეს მისგან დევნილი პირნი უფრო გულწრფელნი დამცველნი არიან თავისუფლებისა და კეთილშობილი მომხრენი რევოლუციისა, ვიდრე თვით ნინიძე ბრძანდება, მაგრამ მას სხვა ბოღმა აწუხებს, ის ხომ იმას არ ფიქრობს, რომ ასეთ უსამართლო დარბევით შეუძლიან ხალხში უკმაყოფილო მასსა შექმნას, რეაქცია გამოიწვიოს და ეს საუკეთესო განძი, თავისუფლება ხელიდან წაგვართვას, ის მხოლოდ თავის მიზანს მისდევს, რომ რითიმე პირად მტრებს გაუსწორდეს!.. ასეთი უსამართლო მოქმედება ბ-ნ ნინიძეს არა ერთი ჩაუდენია, იგი უთვალავია, და ამიერ-კავკასიის კომისარიატი კი ყურადღებას არ აქცევს. ყოვლად შეუძლებელია დავიჯეროთ, რომ ახალ მთავრობის წარმომადგენელს ამიერ-კავკასიის კომისარიატს არ შეეძლო ბოლო მოეღო ბ-ნ ნინიძის შეუფერებელ მოქმედებისთვის და მით უსამართლოთ მსხვერპლნი დევნა-რბევას გადაერჩინათ!

საჭიროა ამიერ-კავკასიის კომისარიატმა ამგვარ პირთა შეუგნებელ მოქმედებას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს, და ღირსეული სასჯელიც [illegible]. ამას ითხოულობს რუსეთის შეგნებული რევოლიუცია, საზოგადოებრივი სინდისი და კაცობრიული სამართლიანობა!..

გ. შალიბაშვილი.

---

*) იხ. „საქართველო“ № 168.

*) მე როგორც კი გავიგე ასეთი აღმაშფოთებელი აწიოკების ამბავი, გაზეთის საშუალებით ვაცნობე, რომ მე თბილისში ვიმყოფებოდი, მაგრამ მათ ხმა აღარ გამცეს და არ ვიცი კი რატომ.

გ. შ.

---

## ჩრდილო კავკასიისა და დაღისტნის მთიელთა კავშირის დეკლარაცია იარაღის ტარების შესახებ

მიმდინარე წლის მაისის 12-ს, ამიერ კავკასიის საგანგებო კომისიამ დაადგინა იარაღი აჰყარონ ადგილობრივ მცხოვრებთ. წინასწარი განსჯვრეტა იმ საბედისწერო შედეგებისა რომლებსაც ეს აქტი გვიქადის, აიძულებს ჩრდილო-კავკასიის და დაღესტნის მთიელთა კავშირის ცენტრალ კომიტეტს დაუფარავად გამოსთქვას თავისი მისდამი დამოკიდებულება.

მთიული და იარაღი—ეს განუყოფელი ერთეულია. უიარაღო მთიული თავს დამცირებულად სთვლის. ეს მას ღირსების დამცირებად მიაჩნია.

მას მხოლოდ იარაღი მიაჩნია პატიოსნების, სიცოცხლისა და ქონების დამცველად.

მხოლოდ იარაღში ჰხედავს იგი თავისუფლებას, რისთვისაც ასე იბრძოლა ამ 60 წელს და რასაც ამ ცოტა ხანში ეღირსა. მან მტკიცედ გადასწყვიტა, რომ რევოლუციონურ დემოკრატიასთან ერთად სისხლის წვეთამდის დაიცვას მოპოვებული თავისუფლება.

იარაღის ტარების უფლება მთიულისათვის მიღებულ თავისუფლების სიმბოლოა, მისი გამომხატველი.

ეს თავისებური ფსიხოლოგია დიდი ხნის ისტორიულ პროცესის ნაყოფია და მას ვერავითარი მთავრობის დევნა ვერ აღმოფხვრის. სუსტია მასთან კაბინეტის მყუდროებაში შემუშავებული დადგენილება.

ამასთან განა შესაძლებელია, რომ იმ მოქალაქეთ, რომელთაც დიდი ხნის ნანატრი თავისუფლებას მტკიცედ დაცვა გადაუწყვეტიათ, იარაღი აეყაროთ—მაშინ, როდესაც კონტრ-რევოლუციის და ანარქიის საფრთხე არ გვცილდებია, როდესაც ყოველ დღე საბედისწერო შემთხვევებს ველით და როდესაც სარევოლუციო წესწყობილება ჯერ კიდევ არ დამყარებულა. მთავრობას მხოლოდ მაშინ შეუძლიან იარაღის აყრა მოითხოვოს, როდესაც პიროვნებაც და ქონებაც მთლად ხელშეუხებელი, მთლად უზრუნველყოფილი იქნება ყოველივე საშიშროებისაგან. ამას კი არამც თუ კავკასიაში, არამედ სატახტო ქალაქებშიც ვერ ვამჩნევთ. ყველასათვის ნათელი უნდა იყოს, რომ მთიულთა ხელებისა და ვინტოვკების მხოლოდ რევოლუციის მტრებს უნდა ეშინოდესთ. არავის არ უნდა მიქონდეს იმაზე ეჭვი, რომ ვითომც მთიულები სახელმწიფოს საწინააღმდეგო მიზნებს ემსახურებოდნენ. მათ მტკიცედ სწამთ, რომ მხოლოდ რევოლუციის განმტკიცება მიანიჭებსთ კეთილ მომავალს. შავი ძალები კი სარგებლობენ იმით, რომ რუსის საზოგადოება და ჯარის კაცები მთიულთა ფსიხოლოგიას, მათ პოლიტიკურ პოზიციებს ვერ იცნობენ და ფართო აგიტაციას ეწევიან, ავრცელებენ დაუჯერებელ ხმებს მუსულმანთა ამბოხებისათვის მზადებაზე, მათ რეაქციონერობაზე, და რუსებისადმი მტრობაზე. ამ აგიტაციამ, რომლის მიზანიც რუსის ჯარისა და მუსულმანების შეტაკება იყო, უკვე გამოიღო ბოროტი ნაყოფი. ამის გამო ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტმა იარაღის აყრის შესახებ დადგენილება გამოსცა. ეს დადგენილება ფაქტიურად მხოლოთ მუსულმანების წინააღმდეგ იყო მიმართული.

თვით პროექტის შემდგენთ კარგად უნდა იცოდნენ, რომ ამ დადგენილების არსებითად არა შეუძლია რა, რომ რა ზომებსაც უნდა მიმართონ მთიულებს იარაღს ვერ აჰყრიან. ამას ხომ იმ ძველ რეჟიმის დროსაც ცდილობდნენ. დადგენილება იარაღის აყრის შესახებ, როგორც ვთქვით, დადებითს არას იძლევა, მაგრამ იგი ისეთს საფრთხეს ჰქმნის, რომელსაც ვერ მიამჩნევს პოლიტიკური ბრმა. შეიძლება ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტი იმდენად ავტორიტეტული არ არის, რომ შეეძლოს იკისროს თავდებობა, იმის თავდებობა, რომ ადგილობრივი სამხედრო კომიტეტები ანდა უორგანიზაციო ჯარის-კაცთა ბრბოები თავიანთებურათ არ აასრულებენ ამ დადგენილებას. ეს კი მცხოვრებთ მეტად აღელვებს.

იარაღის ასაყრელადაც მიღებული ზომები, იმდენად გაამწვავებენ დამოკიდებულებას, რომ მთიელთა და ჯარის კაცებთა შორის უეჭველად იფეთქებს სტიქიური შეტაკება და თავისუფლების მოყვარულ მთიელებისა და რევოლუციონურ ჯარის სისხლის ნაკადულები მორწყავენ ირგლივ არე მარეს.

სწორედ ეს ჰსურდათ იმ ბნელ ძალებს, რომელთაც ზოგან უკვე ასე გაასიანეს ჯარის კაცთა მასსები მუსულმანთა წინააღმდეგ.

ჩრდილო კავკასიის და დაღესტნის მთიელთა კავშირის ცენტრალი კომიტეტი მეტად სთვლის კვლავ იმის გამეორებას, რომ მხოლოდ რუსეთის რევოლუციისაგან მოელიან ყოველივე სანატრელს, ამასთან მას მთიელთა ღირსების დამცირებად მიაჩნია ყოველთვის თავის მართლება ბნელ ძალთაგან წამოყენებულ ცილის წამებაზე, მაგრამ, დაე, ისტორიამ დასდოს მსჯავრი, მან დაამტკიცოს, თუ რამდენად მართალი იყო ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტი, როდესაც მუსულმანების მიმართ მეფისეულ რეჟიმის უნდობლობის პოლიტიკას მიმართა.

ამასთან ერთად კავშირის ცენტრალ კომიტეტს არ ძალუძს თვალი დახუჭული შეხედოს იმ დიდ საფრთხეს, რომელსაც იარაღის აყრის აქტი ამზადებს. დაე, ამ აქტის შემდგენთ აგონ ყოველივე პასუხი იმის შედეგებზე, რომელთაც იარაღის აყრის სასრულში მოყვანის ცდა გამოიწვევს. ამ შედეგებზე იგი ბრალს იყრის და აცხადებს რომ ჩრდილო კავკასიის და დაღესტნის მთიელები თავიანთ უფლებაზე უარს არ განაცხადებენ და უმალ სულს დასთმობენ, ვიდრე იარაღს. კავშირის ცენტრალი კომიტეტი მიმართავს რევოლუციონურ დემოკრატიასა და დროებით მთავრობას და სთხოვს დიდი ყურადღება მიაქციოს ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის აქტს, რომელიც კავკასიაში რევოლუციას დიდ საფრთხეს უმზადებს.

1917 წ. თიბათვის 28. ქ. ვლადიკავკაზი.

**ჩრდილო კავკასიის და დაღესტნის მთიელთა და კავშირის ცენტრალი კომიტეტი.**

---

რედაქტორი **გრიგოლ ვეშაპელი.**

---

## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

**მატარებლების მოძრაობა**

(დრო ნაჩვენებია [illegible])

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საჩ. | № 3, | 11.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 11.48 | საღ. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. | № 19, | 8,20 | დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.27 | დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 9.20 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 8.54 | დღ. |
| „ | საჩ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-8, | 11.12 | საღ. |

**თბილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 7.51 | დილ. |
| „ | საჩ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ბაქ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.48 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.34 | საღ. |
| ბაქოდან | საჩ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 10.40 | საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საჩ. | № 3***, | 8.10 | დილ. |

# საავადმყოფო

**სამხედრო ექიმ სპეციალისტებისა მოსიარულე ავადმყოფებისათვის:**

დიდი ვანქის ქუჩა № 3. ალექსანდრეს ბაღის ახლო, ტელეფონი 431.

**ავადმყოფების მიღება: დილის 10 საათიდან 5 საათამდე.**

**ბელანჟე**—ბავშვთა შინაგან ავადმყოფობისა. დებულობს 10—12 ს. ყოველდღე.
**გეინაცი**—თვალის ავად. 2—3 საათ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით.
**ასპიზოვი**—ყელის, ყურის და ცხვირ. 1—2 საათ. ორშაბათ. და ოთხშაბათ.
**ფირალოვი**—ქირურგ. ავად. 12—1 საათამდე.
**მონხე**—ბავშვთა შინაგან ავად. 1—3 საათამდე ყოველ დღე.
**ჩუდნოვსკი**—შინაგან და ნერვიულ ავად. 12—1 ს სათ. ხუთშაბ. და კვირაობით.
**ბეგზადოვი**—ქალთა და საბებიო ყოველ-დღე 2—3 საათამდე.
**იოხელიანი**—ქალთა დ საბებიო ავად. დებულობს ორშ., ოთხშ. დ პარ. 11—12 ს.
**ნარიმანოვი**—ვენერიული ავად. ყოველ-დღე 10—11 საათამდე.
**დეკანოზოვი**—ქალთა ავად. სამშაბათ. ხუთშაბ. და შაბათობით 12—1 საათ.
**ტროიცკაია**—ქალთა და ქირურგ. ავად. ყოველდღე ქირურგ. 2—3 საათამდე.
ქალთა ავადმყოფ. 3—4 საათამდე.
**ბაგდოევისა**—კბილის ექიმი ყოველ-დღე 3—5 საათამდე.
**ალიხანოვისა**—კბილის ექიმი ყოველ-დღე 10—12 საათამდე.

100—667—37

# კომიტეტი

## ქართველთა სამხედრო კავშირისა

**მოუწოდებს ყველა ქართველ მეომარს (ჯარის-კაცებს, ოფიცრებს, სამხ. ექიმებს და მოხელეებს) ჩაეწერნენ აღნიშნულ კავშირში, რომლის მიზანია რუსეთის რევოლიუციის ხელის შეწყობა და საქართველოს ავტონომია. კომიტეტის ბინა მოთავსებულია ახალ კლუბის შენობაში (სასახლის ქუჩა). ცნობების მიღება შეიძლება „ჯარის კაცის“ რედაქციაში დილის 10—2 საათამდე და საღამოს 7—8-დე.**

კომიტეტი ქ. ს. კ.

[illegible]

# ძმ. [illegible]

[illegible] ქუჩა, [illegible] სახ., № 3, ტელეფონი № 711.

ყოველ დღე მიიღება საკუთარ და საგზავნი სახლ. „[illegible]“ [illegible] (წ.)